1935

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

„პიონერი“

№ 7

საქ. ა. ლ. კ. კ. ცეკასა და
საქ. განსახკომის ერთთვი-
ური ჟურნალი

ივლისი
1935
წელიწადი მე-11

რედაქციის მისამართი:
კიროვის ქ., № 7.

სახელგამი,
საგ. და ახალ. სოფლ. სკოლა

შინაარსი:

1. მფრინავი ნინა 1
2. დაიკო მიფრინავს (ლექსი) — მიმქრალისა 1
3. დის წერილი (ლექსი) — გ. კაჭახიძისა 2
4. მორჩა სწავლას (ლექსი) — ს. ყლენტისა 2
5. არტეკ (ლექსი) — ა. მაშაშვილისა 3
6. ინტერვიუ რეზოსთან (ლექსი) მარიკა მიქელაძისა 3
7. მთისაკენ (ლექსი) — შ. სამადაშვილისა 4
8. სასტუმრო „ძველი რეჟიმი“ (მოთხრობა) — ნ. ქ-ლი 4
9. კულტურა (მოთხრობა) — ნ. ნაკაშიძისა 6
10. ღია თვალები (მოთხრობა) — ლ. ჭიჭინაძისა 8
11. ფარული სტამბა (მოთხრობა) — თამარ ჩერქეზიშვილისა 9
12. მგალობელი ჩიტების ზეიმი (მოთხრობა) — ნინო ტყეშელაშვილისა 11
13. დროშის გამოტანა — ზანეგინისა 12
14. მოსკოვის მეტრო — რანი 16
15. ზღაპრები ადამიანის წარმოშობის შესახებ — შ. თ-ლი 18
16. საბჭოთა მთასვლელობა — ლ. მარუაშვილისა 22
17. ხანგალი მზის ხეივნე (მოთხრობა) — ვახტანგ უგულავავა
18. გასართობი — კლ. თევზაძისა
19. გამოცანა № 1 — გ. ლომთათიძისა
20. „ № 2 — ლ. გეგეჭკორიისა

სარედაქციო კოლეგია

პ/მგ. რედაქტორი: აკ. რეხვიაშვილი. პ/მგ. მდივანი: რ. ძოწენია.

წევრები: ლ. გასვიანი, ნ. ჩარკვიანი, ბ. ჟუჩიშვილი, შ. თაბუკაშვილი. ფ. ახვლედიანი.

ტექნიკური: — შ. თაბუკაშვილი. მხატვრები: { ვ. პეტროვა, ვ. ბელეცკაია } გამომშვები: ს. ხვი ჩია.

მთ. № 8009 შეკვ. № ტ. 11750. სახელგამის მე-3 სტამბა წერეთლის ქ. № 3/5.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მფრინავი ნინა

28 მაისს ქ. ტფილისში გარდაიცვალა პირველი ქართველი კომკავშირელი მფრინავი ქალი ნინა ხუბულავა. ნინა ხუბულავა აღზარდა ლენინურმა კომკავშირმა, უპატრონა მანვე და ადრე დაობლებით გამოწვეული სევდა სიხარულად შეუცვალა. ნინა 1927 წლიდან კომკავშირშია. 1934 წელს დაამთავრა ქ ტფილისის აეროკლუბის საავიციო სკოლა და განსაკუთრებულ სიხალისით და ენერგიით მოკიდა ხელი საავიაციო საქმის დაუფლებას და სულ მოკლე დროში გახდა საუკეთესო მფრინავი. უკანასკნელ ხანებში ნინა ახდენდა გადაფრენებს დასავლეთ საქართველოში. 18 წლის იყო ნინა, როცა უეცარმა სიკვდილმა იმსხვერპლა იგი. სენაკის მშრომელი მოსახლეობა მას საკუთარ თვითმფრინავს უგებდა, რომ ნინას მით ეფრინა. მისი სიკვდილის შემდეგ ამ თვით მფრინავს ეწოდება „ნინა ხუბულავა“.



1770

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიკო მიფრინავს

დამთავრდა ზეიმი,
სიტყვები, ტაში.
გაისმა „ვაშა“ და
ყიჟინა ხალხში.
გამოჩდა პირველი
მფრინავი ქალი —
ეს ახალგაზრდობის
ძვირფასი თვალი!
გუზგუზებს ქუჩები,
მზე უფრქვევს მძივებს.
ბავშვები ესვრიან
ვარდებს და იებს.
შრიალებს ფირფიტი
მფრინავი რაშის,
დაიკო მიფრინავს,
მიფრინავს ცაში!
დამთავრდა ზეიმი,
სიტყვები, ტაში.
გაისმა „ვაშა“ და
ყიჟინი ხალხში!

მიმქრალი

დის წერილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გწერ ამ ბარათს. საღამოა,
ემალება მწერი მერცხალს.
მზე ჩადის, და დედა ჭასთან
ფაიფურის თეფშებს რეცხავს.
მამამ წიწილს თავი წაჭრა,
ღომს კერაზე ბები ხარშავს...
დაღამდება, და უშენოდ
მოუჯდებით წყნარად ვახშამს.
ხეებს ვუმზერ, გიგონებ ძმას,
მიჩვილდება გული ბავშვის;
საღამოა, შენ აქ არ ხარ,
და ნიავი დადის ბაღში.
საღამოა, არ უყურებ
ამ ეზოს და ამ კარგ ზეცას,
სადაც ხტოდი, მუშაობდი
და აფრთხობდი ქვებით მერცხალს...
მოდი, დატკბი... მურა ძაღლი
ნახე, როგორ დაგვიბერდა...
ნუთუ აღარ მოგენატრა
შენი ძმა, შენი დედა!

ვიცი, შორს ხარ, მაგრამ, ბიჭო,
მგოსნების ხმა აქაც გვესმის:
ზეიმი მაქვს, როცა სოფლად
გამოჩდება შენი ლექსი.
ის გვახარებს, ალხენს ბავშვებს,
როგორც ჩიტებს სუფთა დილა...
წავიკითხავ, და კერასთან
გაიღიმებს დედა ტკბილად.
გწერ ამ ბარათს, მოკლე ბარათს,
გარეთ სიო ფოთლებს არხევს.
ნამი ჩნდება, და ეზოში
დადის შენი მკრთალი სახე,
ხილს კრეფს თითქოს, ცას შეჰხარის,
ტანს უკაწრავს მოხუც ჭანდრებს...
ბიჭო, ყველას შენი თავი
რატომ ასე მოგვანატრე?!
რას უზიხარ?! სოფელს ერთხელ,
მოდი, თვალი გადაავლე;
მოდი დროზე, თორემ ბალი
მოილევა ბაღში მალე!

გიორგი კაჭახიძე

მორჩა სწავლას ჩვენი რაფო,
ესტუმრება მალე სოფელს...
უხარია წარმატება,
გაახარებს ძმებს და მშობლებს.
თვალწინ უდგას ტყე და ველი,
უალერსებს ბაღს და მინდორს...
როცა ძროხას ხბო მიბღავის
მასთან არის თითქოს იმ დროს.
თვალწინ უდგას წისქვილის რუ,
გადატოპვა მასზე ცურვით...
თვალწინ უდგას... მაგრამ რა ქნას,
წიგნით კლავდა ამდენ სურვილს.
და ხანდახან მასაც წიგნი
შერჩენია ხელში უქმად,
ფიქრში წასულს საყვედური
თავის თავზე თითონ უთქვამს:
„ხვალ რომ კლასში ცუდად წავდგე,
ეს ხომ ყველას გააკვირვებს!
განა მისთვის მეძახიან
ბეჯითობით კარგს და პირველს?!“
და წლის ბოლოს მარჯვე ბიჭი
გამოცდებზე იდგა მაგრად,

აზრიანად ალაგებდა
ნასწავლსა და ნაამაგარს.
მთელმა წელმა განვლო ისე,
ასწორებდა კიდევ სხვებსაც:
ამხანაგის დახმარება
მას მიაჩნდა თავის წესად.
დაასრულა წელი კარგად,
თან მიჰყვება წიგნზე ფიქრი...
ჯილდოდ მისცეს სიგელი და
ფრიადების მთელი რიგი!
დაისვენებს ახლა მაინც,
დააზუსტებს ცოდნის მარაგს,
თან ბებისაც მოაყოლებს
ზღაპრებსა და მრავალ არაკს...
დაისვენებს, გაერთობა
და გაიჩენს თვისთვის საქმეს:
სურს პირუტყვის შეფი გახდეს,
არ მოუვლის სხვაზე ნაკლებ!
მორჩა სწავლას ჩვენი რაფო,
ესტუმრება მალე სოფელს...
უხარია წარმატება,
გაახარებს ძმებს და მშობლებს!

სანდრო ჟღენტი

ა რ ტ ე კ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეგობრებო, მკერდგადაშლით
ახმაურდით, აგრიალდით,
ანთებულა ჩვენს ბანაკში
ყვავილების განთიადი.
აქ არტეკში ზღვაურია
ცა ოდნავად გასარკული,
კვლავ მერცხლების ხმაურია:
გაზაფხული, გაზაფ'ული!
ზღვაო, ნაპირქვიშიანო,
გახსენ წყალთა ყამირები,
გვსურს არტეკში ვიშრიალოთ,
ვით ცოცხალი ყვავილები.
გვიხარიან, გვახალისებს,
ეს მიდამო ჯადოსნური
ჯანს გვიმატებს ახალი მზე
ზღვიდან სუფთად ამოსული.
პიონერნო, მკერდგადაშლით
ახმაურდით, აგრიალდით,
ანთებულა ჩვენს ბანაკში
ყვავილების განთიადი.

ალიო მაშაშვილი

რეზო — ჩემი მეზობელი
შავთვალწარბა ბიჭია.
დედა აქებს: „ჩემი რეზო
სულ ხალასი ნიჭია.“
რედაქციამ დამავალა:
ერთი გაისარჯეო
და გაიგე რეზოს აზრი
სწავლა-ქცევის გარშემო.
დავცქეროდი რვეულებს
შემოფხრეწილს, ობიანს,
იჯდა რეზო, ქარგავდა
თავის „ფილოსოფიას.“
თქვენ გინდათ რომ გიამბოთ
სრულად ჩემი ამბავი?
გიამბობთ, მერე რაო, —
დავუმალო აბა ვის.
რვეულები რადა მაქვს
უპატიოდ ნაგდები?
ჯერ ვერ ვიცლი, ოდესმე
დავაწყობ, დავლაგდები.
გაკვეთილზე თუ ვსწავლობ.
აბა სადა მცალიან.
ისე დატვირთული ვარ —
სულ ძალიან ძალიან.
რას ვაკეთებ? ბურთს ხოლმე
მე პირველი ავაგდებ,
მაშ რა გასაკვირია,
რომ გაკვეთილს დავაკლდე?
დღეს კიდევ ჩვენს ეზოში
დავკიდეთ საქანელა;
განა ცოტა საქმეა!
კინომაც დაგვანელა:
ხან „დუგლასი“ თამაშობს,
ხან „პატი-პატაშონი“...
რას არ წახვალ, როდესაც
ბილეთია ნაშოვნი!
გუშინწინაც ავიღე,
გაკვეთილებს ვუგანე:
დილის სიანსი იყო,
თამაშობდა კუგანი!
ვარჯიში? სხვას ვერ ნახავთ
ჩემზე უფრო მოხდენილს:
ტრამვაიზე ათასჯერ
ავხტები-ჩამოვხტები!
გუშინ ჩხუბი ავტეხე,
ერთი ბიჭი მივცოცხე.
...მიდის ასე, შრომაში,
ჩემი ნორჩი სიცოცხლე!
არ მესმის, ჩვენ სკოლაში
თუ როგორი ხალხია:
ამდენ საქმის მკეთებელს
„უქნარას“ მეძახიან!
ბაასი რომ გათავდა,
მზე დასავალს იწოდა.
რეზო გამომეთხოვა,
ხელიც გამომიწოდა,
თვე გავიდა. ზაფხულთან
გამოცდებიც მოვიდა.
ბევრი ვნახეთ მოზეიმე
„ფრიადების“ თოვითა.
რეზო ვნახეთ... ერთხელ კიღევ
მოველთ, გავისარჯენით,
ოხვრით გვითხრა: რაღას მკითხავთ
მეხუთეში ჩარჩენილს?“

მარიკა მიქელაძე

მთისაკენ

მთაში მიუდით ცხვარი
დადგა ბღავილი, მტვერი,
სადაც ჰაერი არი
ცხვრისათვის შესაფერი.
კოლექტიველი მწყემსი
ფარებს მიჰყვება გუდით.
ფრთხილობენ, რომ არ ჰქონდეთ
მთაში მგზავრობა ცუდი.
მიდიან... და თან სთელავენ
გზა-გზა ხასხასა მოლებს.

უმალვე ნადირს კლავენ
რომ აწყდებიან ხოლმე.
ჭკვიანად მიძუნძულებს
ყურშა — ბატკნების მცველი,
ახარებს მწყემსთა გულებს
მისით დამფრთხალი მგელი.
სულ მალე ავლენ მთაში
ლერწმის კვნესით და მღერით.
ბარად ჩამოვლენ მაშინ
როცა დადგება ჯერი.

შ. სამადაშვილი

სასტუმრო „ძველი რეჟიმი“

ეს ამბავი ქალაქ ოდესაში მოხდა. ერთ დღეს ქუჩებში გააკრეს აფიშები:

> **ცნობილი ჯამბაზი და ცხოველების გამწვრთნელი ვლადიმერ დუროვი 1906 წლის 6 აგვისტოს დგამს პანტომიმას*) „ძველი სასტუმროს ხანძარი“.**
>
> **პანტომიმაში მონაწილეობას იღებენ გაწვრთნილი ძაღლები, მაიმუნები, გოჭი, სახანძრო რაზმი და ბევრი სხვა.**

დადგა წარმოდგენის დღე.

აი, გამოიტანეს და ცირკის ასპარეზზე დადგეს ნახევრად დანგრეული სათამაშო სახლი. გამოვიდა დუროვიც.

გაისმა ტაში.

დუროვი უყვართ მშრომელებს, დუროვს იცნობენ ისინი.

ღიმილით მივიდა დუროვი სათამაშო სახლთან და ხმამაღლა წაიკითხა, რაც ამ სახლის კარების თავზე ეწერა:

„სასტუმრო „ძველი რეჟიმი“. იშვიათი რამეების მუზეუმი.

მერე შეიჭვრიტა პატარა ფანჯარაში, [illegible] თავი, ამოიოხრა და დაიძახა:

— უჰ, რა ძველი, დარკილული სახლია! დიდიხანია უნდა დანგრეულიყო, ეს კი ისევ ფეხზე დგას. აი იშვიათი რამეების მუზეუმიც. ვნახოთ, ერთი, რა იშვიათი რამეებია იქ!

ხალხი გაინაბა. დუროვმა გამოაღო კარი, შეაყო ხელი და რაღაც ჟურნალი გამოათრია.

— აი პირველი იშვიათი რამ: სატირული ჟურნალი „Зритель“ („მაყურებელი“), რომლის კინფისკაციაც ჯერ ვერ მოუსწრიათ. ნახეთ?

გაისმა სიცილი, ტაში. ყველა მიხვდა, რას ნიშნავდა დუროვის სიტყვები: პოლიცია იმ წამსვე იჭერდა ჟურნალ „Зритель“-ს როგორც კი ის გამოვიდოდა. ეს ჟურნალი დასცინოდა მეფის მთავრობას.

დუროვმა მეორე იშვიათი ნივთიც გამოიტანა: მან ჰაერში შეათამაშა მათრახი.

— აი ახალთახალი, ჯერ უხმარი მათრახი!



პირველ რიგში დუმან, მოლუშული სახეებით სხედან, ქანდარაზე კი იცინიან. სტუდენტები და მუშები წამოხტენ, რომ უკეთ დაენახათ ჯაზაკის მათრახი.

— უყურე, უყურე! აბა პიტერში **) კი არ იქნებოდა უსაქმოდ!

*) პანტომიმა — მუნჯური სცენა; წარმოდგენა, რომელშიც მსახიობები გამოხატავენ თავის გრძნობებსა და აზრებს არა სიტყვით, არამედ სხეულის მოძრაობით.

**) პიტერს ეძახდენ ახლანდელ ლენინგრადს.

ყველამ იცოდა, რომ პეტერბურგში (ლენინგრადში) მათრახებით უმასპინძლდებოდენ კაზაკები უიარაღო მუშებს.

ხალხში ჩოჩქოლი ატყდა, დუროვი კი თითქოს ვერაფერს ამჩნევდა და განაგრძობდა „იშვიათი“ ნივთების გამოღებას.

დუროვის ხელისგულზე აბრეშუმიანოდა თოფის ვაზნა.

დუროვმა ღიმილით თქვა:

— ესეც ხომ იშვიათი რამეა. ამასწინათ არ გამოიცა ბრძანება ვაზნები არ დაზოგოთო? *)

ერთ ლოჟაში წამოიძახეს:

ბოჭკებიდან ჩამოხტენ მაიმუნები, გაშალეს სახანძრო მილი და მალე მოუშვეს წყალი ალმოდებულ სახლზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დუროვი დარბოდა სცენაზე და ყვიროდა:

— რას ჩადიხართ, მეხანძრეებო! ხელი არ ახლოთ! დე, დაიწვას!

ჩააქრეს ხანძარი...

მაშინ გამოგორდა კულისებიდან შავი პატარა ეტლი. ეტლში იჯდა გოჭი, რომელსაც ხმალი ერტყა. ცხენის მაგიერ შავი ბულდოგი ება ამ ეტლში. ეტლს თეთრი ასოებით ეწერა:

რ ე ა ქ ც ი ა



— რა თავხედობაა! როგორ ბედავს ამას!

სწორედ ამ დროს გაუჩნდა ხანძარი მინგრეულ-მონგრეულ სასტუმროს. დუროვმა გვერდზე გადაისროლა თოფის ვაზნა და დაიყვირა:

— ძლივს! მოთმინების ფიალა აივსო! ხანძარი გაუჩინეს! იწვის დაწყევლილი სასტუმრო!

სცენის უკან გაისმა ყეფა, საყვირი აგუგუნდა, ზარი აწკრიალდა. ერთ წუთს გაჩნდა ასპარეზზე უცნაური სახანძრო რაზმი.

ორი პაწაწა ბოჭკა და წითელი გასაშლელი კიბე, ზარების წკრიალით გამოაგორა ორმა ძაღლმა. ბოჭკაზე ისხდენ მაიმუნები და თათებით ეჭირათ ძაღლების აღვირები. იმათ ეცვათ წითელი მუნდირები ბრეშუმიანი ოქროსფერი ფოლაქებით და თავზე ეხურათ სათამაშო მუზარადები.

აი კიდევ: ოთხ მწევარ ძაღლზე შემჯდარა ოთხი მაიმუნი და ჭენებით მოვარდნენ ხანძრის ჩასაქრობად.

ეტლი რომ დაინახა, დუროვმა თავი ჩაღუნა და დაღვრემილმა გაშალა ხელები.

სასტუმრო „ძველი რეჟიმი“ არ დამწვარა, ის გადაარჩინეს ძაღლებმა და მაიმუნებმა. დადგა რეაქცია. ძველმა რეჟიმმა შეუტია რევოლუციას. მართლაც ასე იყო.

იმ საღამოს ყველას სალაპარაკო მხოლოდ დუროვი იყო. გაიხსენეს, ქალაქ ყაზანში როგორ დააპატიმრეს ის და ციხეში ჩააგდეს პოლიციის შეურაცყოფისათვის.

„აი ნახავთ, — ამბობდენ ზოგიერთნი, — აქაც დააპატიმრებენ“.

მეორე დღეს ცირკი ისე გაიჭედა, რომ ნეშსიც კი არსად ჩავარდებოდა. წარმოიდგინეთ უნდა გამეორებულიყო. ყველა ელოდა სკანდალს.

დუროვმა ისევ ამოალაგა „იშვიათი“ რამეები: ჟურნალი, მათრახი, ვაზნა და ამ დროს უნებურად

*) მეფის ერთგულმა ლაქიამ, პეტერბურგის გენერალ-გუბერნატორმა ტრეპოვმა გასცა ბრძანება, როდისაც ამბოხებულ მუშებს, „ამშვიდებდენ“: ვაზნები არ დაზოგოთო.

მოიხედა უკან. კულისებში იდგა ბოქაული, რომელსაც სქელი პორტფელი ეჭირა ხელში. ის უკვე მზად იყო ოქმი შეედგინა და დაეპატიმრებია დუროკი მეფის მთავრობის დაცინვისათვის...

დუროვი დადუმდა, მაგრამ ძალიან ღელავდა. სასტუმროს ხანძარი გაუჩნდა, მოვიდენ მეხანძრენი, დაიწყეს ხანძრის ჩაქრობა, მაგრამ...

დუროვის მღელვარება გადაედო მის ცხოველებსაც, აურ-დაურიეს როლები, თავი მიანებეს ხანძარს...

ბოქაულმა გუბერნატორის სახელით გამოუცხადა დუროვს: ოცდაოთხ საათში უნდა წახვიდე ოდესიდანო.

პანტომიმა „ძველ სასტუმროს“ დადგმა ყველგან აკრძალეს.

დუროვს იჭერდენ, ციხეში ათავსებდენ, მაგრემ ის მაინც არ წყნარდებოდა, როდესაც გამოუშვებდენ, ისევ დასცინოდა მეფის მთავრობას.

საბჭოთა ხელისუფლებამ საბჭოთა კავშირის სახალხო მსახიობის სახელწოდება მიანიჭა მას...

ნ. ჟ — ლი



პირველი ტრაქტორი სოფლად

საკოლმეურნეო მინდვრებმა თავი დაახწია თოვლს. შავ მიწაზე აქა-იქ ეყარა მზესუმზირას შარშანდელი ღეროები. ორიოდე კილომეტრის სიშორეზე მოჩანდა ტირიფების მწკრივი და იქით ცარცის უზარმაზარი ფლატე. ფლატესა და ტირიფებს შუა მდინარე ჩადიოდა. მოღრუბლული ღღე იყო.

მინდორში 10-14 წლის ბავშვების ჯგუფი რაღაცაზე გაცხარებით ბაასობდა:

— ათ ხარზე მეტს ასწევს!

— ვერაფერსაც ვერ ასწევს!

— კი დახნავს, მაგრამ არაფერი ამოვა.

— რას ამბობ, უფრო მეტიც...

— ვინ მოგახსენა?

— მამამ.

— შენ?

— პაპა არხიპომ.

— ტყუის პაპაშენი!

— არა, მამაშენი ტყუის!

ბიჭები საჩხუბრად მოემზადნენ.

— რანაირია ის ტრაქტორი? — გაისმა წკრიალა, მშვიდი ხმა. ყველამ მოიხედა. კითხვას იძლეოდა პატარა 13 წლის გოგონა.

ბიჭმა, რომელიც თავგამოდებით იცავდა ტრაქტორს, ცოტა ხნის შემდეგ უპასუხა:

— არ ვიცი... მგონია, ავტომობილის მსგავსია...

სოფელი სამოცდაათი კილომეტრით იყო დაშორებული რკინისგზიდან და ოცი კილომეტრით რაიონის ცენტრიდან. კოლექტივიზაციის მეორე წელიწადი იყო და ჯერ ტრაქტორი არ ენახათ. ავტომობილით კი ხშირად ჩამოვიდოდენ ხოლმე სოფლის გზაზე და სოფელშიც მოდიოდენ რაიკომის თავმჯდომარე, მდივანი ან აგრონომი.

— აბა როგორ უნდა დახნას ავტომობილმა, როდესაც გუთნის მისამაგრებელიც კი არსად აქვს! — განაგრძობდა მოწინააღმდეგე ბიჭი.

— ავტომობილი ჩაეფლობა, — თქვა იმავე გოგონამ.

— არ ჩაეფლობა!

— რასაკვირველია, ჩაეფლობა... — გაისმა ხმები.

კამათი ისევ გაჩაღდა.

— ბავშვებო, — მოისმა ხმა, — ბა-ვ-შვე-ე-ბოო!!.

კარგა შორი გორაკიდან ყვიროდა პატარა ბიჭი და ბავშვებს უქნევდა თავისი გრძელი, მამისეული კაფტანის დიდ სახელოს. სიშორის გამო ხმა ძლივს ისმოდა. მაგრამ ბავშვები ერთბაშად დაფაცურდენ და გაიქცენ მისკენ, ყველას გული უფანცქალებდა და ქარივით მიქროდენ.

ბავშვების დღევანდელი კამათი დიდების კამათის გამოძახილი იყო. ამ ერთი კვირის წინათ სოფლის საბჭოს თავმჯდომარემ ყველანი გააკვირვა იმით, რომ გამოაცხადა: მთელ კოლმეურნეობის მინდვრებს დახნავენ ტრაქტორებიო, და მთელი კვირა იყო გლეხობაში ვაუთავებელი ლაპარაკი იმის შესახებ, თუ როგორ და რანაირად მოხდება ეს.

ტრაქტორი იწვევდა ახალ საკითხებს, ახალ აზრებს. ყველანი გრძნობდენ, რომ ძველი ადათწესები ირღვეოდა და რღვევა ხდებოდა მძიმე პირობებში — ძველისა და ახლის შეჯიბრებაში. ყველანი ღელავდენ. ეს მღელვარება გადადიოდა ბავშვებზეც.

გაწითლებულმა, აქაქანებულმა ბავშვებმა აირბინეს გორაკზე. მათ წინ გადაშლილი იყო ისევ ისეთი-

ვე მზეკუმზირას შარშანდელი ღეროებით დაფარული მინდორი და იქით ორიოდ კილომეტრის დაშორებით მოჩანდა მათი მშობლიური სოფლის თეთრი ქოხები და ირგვლივ ჯერ ისევ ტიტველა ალუბლისა და ვაშლის ხეები. მაგრამ ამ ნაცნობი სანახაობისათვის სრულიად არ მიუქცევიათ ყურადღება. ისინი გაოცებულნი უცქეროდენ სოფლის გზაზე ბატიბივით ერთიმეორის მომდევნოდ მოძავალ ჯერ უნახავ მანქანებს.

— ტრაქტორები! — შეჰყვირა ერთმა გოგონამ. ბავშვები გაინაბნენ. ერთ-ორ წუთს იდგენ უძრავად და უცებ მოსწყდენ ადგილს და ფაცხაფუცხით დაეშვენ გორაკიდან და გარს შემოერტყენ ტრაქტორების პირველ კოლონას, რომელიც იმათი მიწების დასახნავად მოვიდა.

ტრაქტორები გამწკრივდენ. ვიღაც კაცი რაღაცას უხსნიდა ტრაქტორისტებს, რომლებიც გულმოდგინედ უსმენდენ. შემდეგ კაცი გამოვიდა წინ და მიმართა:

— ამმხენაგებო! პირველი წელიწადი არ არის, რაც თქვენ ტრაქტორებით ხნავთ. მე განგებ აგარჩიეთ თქვენ, როგორც უფრო გამოცდილი მუშაკები. ეს შორს მივარდნილი სოფელია, სადაც არა თუ ტრაქტორი, არამედ ცხენით სალეწავი და საცელავიც კი არ იციან რა არის. აქ არ სჯერათ ჩვენი რკინის ცხენების სიკეთე. და არც დაიჯერებენ, თუ თქვენ არ დაარწმუნებთ იმათ. აბა თქვენ იცით, ამხანაგებო, არ უღალატოთ საქმეს!

— ნუ გეშინიათ, ამხანაგებო, საქმეს არ ვუღალატებთ, — უპასუხეს ერთხმად ტრაქტორისტებმა.

მანქანამ დაიღრიალა, გაიწია და ქშენით წავიდა. პირველს მიჰყვა მეორე, მეორეს მესამე, მეოთხე... რამდენიმე წუთის შემდეგ ოთხივე ტრაქტორს გუგუნი გაჰქონდა მინდორში. ტრაქტორთა გუგუნების მახვილი დანები ჭრიდა და აბრუნებდა ვეებერთელა ბელტებს. გლეხები მისდევდენ ტრაქტორებს, იღებდენ გადაბრუნებულ მიწას და ათვალიერებდენ.

რამდენიმე საათის შემდეგ მთელმა სოფელმა საბჭოს წინ მოიყარა თავი. მოვიდენ ტრაქტორისტებიც, რომელთაც წინაშეძღოლი მოუძღოდათ. იმათ მიეგება თავმჯდომარე:

— გმადლობთ, ამხანაგებო, მთელი ჩვენი კოლმეურნეობისაგან დიდი მადლობა!

— გმადლობთ, გმადლობთ! — გაისმა გლეხების ხმაც, მხოლოდ უკანასკნელი რიგებიდან, სადაც რამდენიმე მოხუცებული იდგა, გაისმა ტრაქტორისტებისაკენ წყევლა.

ახალი კულტურა

მეორე დილით პატარა გოგონა, რომელმაც გუშინ იკითხა როგორია ტრაქტორიო, ვედროებით მიდიოდა წყალზე. ცივი ქარი ქროდა, გოგონა შეფუთვნილი იყო, მაღალყელიანი ფეხსაცმელი ეცვა. გოგონა გამალებით მიდიოდა, არაფერს აქცევდა ყურადღებას. შეწითლებულ სახეზე, აწეულ წარბებზე და მოკუმშულ პირზე ეტყობოდა დაძაბული აზროვნება. სწრაფად დაეშვა მდინარეზე, სწრაფად აავსო ორივე ვედრო, აიღო ხელში და ერთ წუთს შეჩერდა.

— მარუსკა... მარუსკა... — გაისმა ხმა. გოგონა შეკრთა, სწრაფად ასწია თავი. მაღლა ფლატეზე იდგა გუშინდელი ბიჭიკო, რომელიც ისე თავგამოდებით იცავდა ტრაქტორს, და ეძახდა. გოგონამ დადგა ვედროები და გაქანდა აღმართზე. ხუთ წუთში უკვე ბიჭიკოსთან იდგა. მათ წინ მიიგრაგნებოდა დიდი მდინარე. ვიღაც ნავში მჯდომარე ებრძოდა გაზაფხულის ადიდებული მდინარის ტალღებს. ბავშვებმა გუშინდელი ლაპარაკი განაგრძეს:

— მიშკა, — უთხრა მარუსკამ — ხომ ვნახეთ ტრაქტორები!

— მერე? ვნახეთ, ისე ხნავს, როგორც საჭიროა. ახლა ყველა ხედავს, რომ პაპა არხიპო ტყუის.

— აბა, პაპა არხიპოს რას უყურებ, თქვას, რაც უნდა, — შეიჭმუხნა მარუსკა, — ბებერია საწყალი.

— ჰო, მაგრამ ჭკუა აქვს... — გააწყვეტინა მიშკამ.

— თავი დაანებე, ერთი, ყოველი მისი სიტყვა ოქრო ხომ არ არის! უმჯობესია ეს გამაგებინო: მოსავალი ბევრად უკეთესი იქნება?

— რატომ კითხულობ?

— მიტომ რომ თუ ისევ ისეთი მოსავალი იქნება, როგორც ძველათ იყო, მაშინ რა საჭირო იყო ამ სიშორით ასეთი უზარმაზარი მანქანების მოყვანა?

— არ მესმის, რაზე ლაპარაკობ?

— არ ვიცი, როგორ გითხრა, აი, ავიღოთ ასე: შარშან ერთ ჰექტარ მიწაზე ოცდაათი ფუთი მიიღეთ...

— ე. ი. ხუთი ცენტერი. — გაუსწორა მიშკამ, რომელიც უკვე შეჩვეული იყო „კილოგრამების“ და ცენტნერების ხმარებას ლაპარაკში.

— ჰო, ხუთი ცენტნერი. მაშინ როცა ხარებით იყო დახნული. ამოტელა მანქანას ხომ გაკეთება უნდა, როგორ ფიქრობ? ამასთან იანგარიშე ნავთიც. ტრაქტორისტებსაც უნდა შეასწავლო ხმარება. მერე უნდა მოიყვანო ცხრამთას იქიდან, — ხარები კი მუდამ აქ არიან, ზაფხულობით თავისთავად იკვებებიან, მათი ნაკელიც ხომ მინდორს ანოყიერებს...

— როგორ, შენც წინაალმდეგი ხარ ტრაქტორის?

— არა, შენ ვერ გაიგე. მე მგონია, რომ ამოდენა მანქანა და ძველი მოსავალი შეუძლებელიამეთქი.

მიშა დაფიქრდა.

— მე ვფიქრობ, — თქვა მან, — რადგანაც ტრაქტორი უკეთ ხნავს, მოსავალიც უკეთესი იქნება

ორივენი ერთი წუთით შეჩერდენ.

— ოჰო, გავიდენ! — მიშამ მიუთითა შორს მდინარის მეორე ნაპირას მიმდგარ ნავზე, მარუსკას არც კი გაუხედავს იქითკენ.

მიშა ისევ დაჩუმდა.

— იცი, მარუსკა, მე ვფიქრობ, რომ ტრაქტორი მარტო როდია.

— როგორ თუ მარტო...

— გახსოვს, რაიონის აგრონომი რომ ეუბნებოდა მამას „საჭიროა მინ... ინ... მინ... — ჰე, დამავიწყდა ერთი სიტყვით, — ახალი ნაკელიო.

— მინერალური! — გაახსენდა გოგონას.

— ჰო, მინერალური... როგორ გადამავიწყდა.. მო სავალს ათჯერ მეტად ასწევსო... განა მარტო ეს არის, — მიშა უფრო და უფრო გამხნევებული ამბობდა: — კიდევ კიბალამ დამავიწყდა, ჰო ახალი კულტურების შესახებ. ახალი ხეები, ახალი ბალახი, ახალი, ბაღები გაშენდებაო.

— ეჰე, მიწაც ახალი, — გაიღიმა მარუსკამ.

— მიწაც, მაშ, — გატაცებით განაგრძობდა მიშა, — განა ის მიწა, რომელიც ას ცენტნერ მოსავალს მოგვცემს, ჩვენი ძველი მიწა იქნება...

(გაგრძელება იქნება)

ლ. კრემერი

თარგმანი ნ. ნაკაშიძისა.

ღია თვალები

1. აბა რა ეგონა!

მასწავლებელი შემოვიდა კლასში და თანაც დიდი ჟურნალი შემოიტანა. ყველამ საკუთარი ადგილები დავიკავეთ. ჩვენს პატარა სახეებზე სიხარული დარბოდა, ვერ ვისვენებდით ერთ ადგილზე, უხმოდ ვტრიალობდით აქეთ-იქით და კლასში მაინც სიწყნარე იყო. მასწავლებელმა თვალი გადაგვავლო. სახეს ღიმილი უმშვენებდა. ჩვენი მოციმციმე თვალები ციცინათელებივით ანათებდენ.

— აი რა სიწყნარეა, სულ ასე უნდა იყოთ, — გაისმა მასწავლებლის ხმა.

— ჩვენ არა დაგვიშავებია რა, — უპასუხა ერთმა ამხანაგმა.

— ჰო, მაგრამ...

მერე დიდი ჟურნალი გაშალა და ჩვენი წარმატებისა და დახასიათების კითხვა დაიწყო. მოყვა ანიდან, იკითხა, იკითხა და ჭარამდის აღარ გაჩერებულა. კითხვის დამთავრების შემდეგ კლასში საერთო სიხარული იყო, მაგრამ აქა-იქ მაინც გამოიყურებოდენ ფერმკრთალი მოწაფეები, თავი ძირს დაეხარათ და მაგიდებს დასცქეროდენ.

მე კი მიხაროდა, ეს წელიც რომ ნაყოფიერად დავამთავრე. თავისუფლად ამოვისუნთქე, თითქოს მძიმე ტვირთი მომეშვა. ეს ხომ წინათაც ვიცოდი, მაგრამ სულ სხვაა მასწავლებლის სიტყვა! იგი ჩემი ცოდნის სამართლიანი შეფასება იყო. მის სიტყვებზე ოდნავ შევხტი, მხრები შევათამაშე და ამხანაგს გადავხედე.

— ო, რა ბედნიერი ხარ, ლეო! — მითხრა გვერდით მჯდომმა ამხანაგმა. ამ სიტყვებმა ხელმეორედ შემაკრთო და დამაფიქრა; ალბათ, მეტად შემეტყო აღფრთოვანება, თავი უხერხულად ვიგრძენი, მაგრამ ამხანაგს მაინც ვუპასუხე:

— არც შენ ხარ ჩემზე ნაკლები. აი, ყური უგდე, შენამდისაც მალე ჩამოვა.

* * *

ცელქი ვანუა ყველაზე გვიან გამოვიდა კლასიდან. წიგნები იღლიაში ამოედო, მობუზულიყო და დინჯად მიაბიჯებდა. აბა რა ეგონა, თავი რომ სულ ეშმაკობაში მიქონდა! ერთხელ ფეხი მოპარვით დაიმიდო, წამაქცია, და ნაღრძობი ხელი ერთი კვირა ეკიდა გულზე.

2. წიგნები

სწავლა რომ დასრულდა, ტფილისში კიდევ რამდენიმე დღე დავრჩი. ავარჩიე ახალი წიგნები მათი წაკითხვა ზაფხულისთვის მქონდა გადადებული.

მოვძებნე მამაჩემის გამოგზავნილი ყუთი (ის ბოლოდგომაზე მივიღე, ყურძნით იყო სავსე), ჩავუდინე ქალალდები, გავავსე წიგნებით და წინასწარ გავაგზავნე სოფელში. მერე წერილიც დავწერე:

„ჩემო საყვარელო მშობლებო!

მე ძალიან კარგად ვარ, თქვენზე ვფიქრობ. სწავლა გაგვითავდა. ახლა ჩვენებურად მაისიც დაილია. აქეთ ძალიან ცხელა, ქუჩებში ალმური ტრიალებს. ვიცი, მანდ საამური სიგრილე იქნება. მალე ჩამოვალ და ჩემს ამწვანებულ ეზოში ვიკოტრიალებ. მასწავლებლები მაქებენ და ძალიან გახარებული ვარ. ვიცი, წრევანდელ ზაფხულს მხიარულად გავატარებ. ამ ყუთში ჩემი წიგნები აწყვია, არ გახსნათ ჩემ ჩამოსვლამდის“...

წერილზე ადრე მისულიყო წიგნებით სავსე ყუთი. მამას ეცნო თავისი ყუთი, რომლითაც ყურძენი გამოგზავნა. სიცილი დაეწყო და დედისთვის ეთქვა:

— ხედავ, რა უქნია ჩვენ ბიჭიკოს?

— რა ამბავია? — ეკითხა კედას.

— ყურძნის წასაღები ყუთი წინასწარ გამოგზავნია.

— აბა რა უნდა ქნას, რთვლობაზე აქ არ იქნება...

— მაინც როგორი მძიმეა.

— ვინ იცის, იქნებ კაი რამეები გამოგვიგზავნა. — მიემართა გახარებულ დედაჩემს.

შამას ჩაქუჩი და გაზი მოეტანა, გაეხსნა ყუთი და წიგნებით სავსე რომ აღმოჩენილიყო, სიცილით წამოეძახა:

— უჰ, მთლად წიგნებია!

ჩემი წერილი გვიან მიეღოთ, მაგრამ წიგნები ნაინც ერთგულად შეენახათ, კოხტად მოეთავსებინათ მაგიდაზე.

3. ზაფხული

სოფელში ჩავედი.

დედა გადამეხვია და დიდხანს მკოცნიდა, მეხვეოდა. იხარულის ცრემლები ადგა თვალებზე. ამის შემდეგ ყოველდღე მინდორში დავრბოდი, ყველგან ამწვანე და სილამაზე სუფევდა.

კარგია ბუნების წიაღში სირბილი!

შუადღისას მზე რომ პირდაპირ დაგვაცქერდებოდა, წიგნს ავიღებდი, ფეხშველა და პერანგისამარა გავირბენდი ჩრდილში, გულაღმა გავწვებოდი მწვანე ბალახზე, თითქოს ძირს ხალიჩა იყო გაფენილი. მაღლა ცა იყო, ცა მოწმენდილი და კამკამა, თითქოს უდიდესი ოსტატის მიერ გათლილი მტრედისფერი სარკე, მუდამ რომ ციმციმებს...

მშვენიერია მოწმენდილი ცა, მშვენიერია ბდღვრიალა მზე, განსაკუთრებით დილით, როცა ახალი ამოსულია და თავის სხივებს გულუხვად აფრქვევს თაიგულივით მოქარგულ ზურმუხტოვან დედამიწას!

მიყვარს ჩემი სოფელი, ლამაზია ის და მიმზიდველი! დილით, როცა ფრთაგაშლილი სო დანავარდობდა, ცოტა მოგვიანებით ჩავირბენდი ხოლმე ელექტივში, ჩვენი სოფლის გლეხები რომ მუშაობდენ, მათ გვერდში ამოვუდგებოდი... უხაროდათ უფროსებს და ჩემზე ლაპარაკობდენ.

— უყურეთ, რა ცოცხალი და მარჯვე ბიჭია, — მესმოდა ეს სიტყვები, თავს დიდი კაცივით ვიჭერდი და უფრო ვუმატებდი მუშაობას. მალე ვიღლებოდი, თანაც ასიცხდებოდა, შინისკენ წამოვიდოდი და წიგნებს ვკითხულობდი. წიგნის კითხვით კი იშვიათად დავღლილვარ. წიგნით დავდივარ უცნობ ადგილებში და ვგებულობ ბევრ ახალ ამბავს. მამაჩემს რომ ბაქო ავუწერე, სამი რესპუბლიკის დიდ სამრეწველო ქალაქზე რომ დაწვრილებით ველაპარაკე, მას უხაროდა და მის ფართო ღია თვალებში სარკესავით მოვჩანდი. მან ღიმილით წამოიძახა:

— ბიჭო, შენ საიდან იცი?! მე ბაქოში მიცხოვრია, მაგრამ ეგრე მაინც ვერ ავწერ.

მე კი თავმომწონედ ვუპასუხე:

— მაშ რა გგონია, წიგნი ბევრ რამეს გვასწავლის!

ლავრ. ჯიჯინაძე

ფარული სტამბა

ეს სტამბა მოწყობილი იყო ოცდაათი წლის წინათ ბოლშევიკების მიერ. მაშინ ჩვენში და რუსეთში მეფის ხელისუფლება იყო. ბოლშევიკები ბეჭდავდენ წიგნებს და ფურცლებს, რომლებიც ასწავლიდენ მუშებსა და გლეხებს, თუ როგორ უნდა ებრძოლათ მეფის, მემამულეების და ფაბრიკანტების წინააღმდეგ.

როდესაც ჟანდარმები მიაგნებდენ ასეთ სტამბას, ყველაფერი მიჰქონდათ, სტამბის მუშებს ასამართლებდენ და კატორღაში გზავნიდენ.

1. ქალაქის განაპირას ერთსართულიან სახლში მაგრად დააკაკუნეს.

— ვინ აბრახუნებს? — დაიყვირა პატრონმა. გარედან ხმამ უპასუხა:

— მე ვარ, თქვენი ახალი მდგმური! სახლისპატრონმა მაშინვე გააღო სახლის კარები. ოთახში შევიდა შავწვერულვაშა კაცი, რომელსაც ჩემოდანი ეჭირა. მას უკან შეჰყვა ცოლი, რომელიც მიაგორებდა ბავშვის „კალიასკას“. ბავშს ეძინა.

2. როგორც კი ახალი მდგმურები მარტო დარჩენ, კარები მაგრად დაკეტეს. შემდეგ ახადეს თავი სკივრს, სადაც საბეჭდავი დაზგა იდგა. მამაკაცმა ახლად შემოტანილ მაგიდას ზედაფიცარი გადახადა:



ფიცრის ქვეშ პატარა უჯრებში აუარებელი ასო იყო.

— ხვალიდან უნდა შევუდგეთ გაზეთებისა და ფურცლების ბეჭდვას.

შავწვერულვაშა კაცი ბოლშევიკი იყო. მას ამ-ხანაგს სიმონს ეძახდენ. ფარული სტამბის მოსაწყობად ჩამოვიდა ამ ქალაქში.



3. სამი დღის შემდეგ სიმონის ცოლმა ბავშვი სასეირნოდ წაიყვანა. ის ყრუ და მივარდნილ შესახვევში ერთი სახლის წინ შეჩერდა და დააკაკუნა. კარები ახალგაზრდა ქალმა გაუღო. ბავშვის „კალიასკა“ ოთახში შეაგორეს.



სიმონის ცოლმა ფრთხილად ამოიყვანა ბავშვი. ქალმა ლეიბი ასწია: „კალიასკა“ გატენილი იყო ახლადდაბეჭდილი გაზეთებით.

ამ ოთახში მოთავსებული იყო ბოლშევიკების ფარული ფოსტა. აქედან იგზავნებოდა გაზეთები და ფურცლები რუსეთის ყველა ქალაქში.

4. იმ სახლის წინ სადაც სიმონი ცხოვრობდა, ჟანდარმთა სამართველო იყო. დილიდან საღამომდის ამ სახლში შედიოდნენ და გამოდიოდნენ ჟანდარმები და ჯაშუშები.

ერთხელ ჟანდარმებმა ქალაქში მთელი ბღუჯა ფურცლები იპოვნეს. მათ მაშინვე უბრძანეს ჯაშუშებს ფარული სტამბა აღმოეჩინათ.

მთელი დღეები დაეხეტებოდნენ ჯაშუშები ქალაქში და ფარულ სტამბას ეძებდენ, და როცა ამაო ძებნის შემდეგ სამართველოში ბრუნდებოდნენ, ილანძღებოდნენ.

სიმონი კი ფანჯრიდან იცქირებოდა და იღიმებოდა.

— ვერ მიხვდებიან, ჯალათები... რომ სტამბა ცხვირწინ აქვთ, — ამბობდა ის.

5. ერთხელ ჟანდარმებმა მთელი ყუთი ფურცლები იპოვეს. დასტაცეს ხელი და ოთახში შეათრიეს.



სიმონმა გადაწყვიტა ყუთის გატაცება. მან ორ დარაჯ—ბოლშევიკებთან მოილაპარაკა, რომ ისინი ვაგონების უკან დაიმალებიან და როცა სტვენას გაიგონებენ, ჰაერში ისვრიან.

სიმონმა კი ორი ეტლი დაიქირავა. ერთი სადგურის წინ უნდა მდგარიყო, მეორე კი ქუჩის კუთხეში.

სიმონი მიუახლოვდა ჟანდარმების ოთახს. ორი თითი პირში ჩაიდო და დაუსტვინა.

ვაგონების უკან სროლა მოისმა. ჟანდარმები ოთახიდან გამოცვივდენ:

6. — შესდექ! ვინ ისვრის? — ყვიროდნენ ჟანდარმები.

ამ დროს მატარებელი მოვიდა. სადგურზე აუარებელი ხალხი აირია. ჟანდარმების ოთახის წინ ხალხი წინ და უკან მიმოდიოდა.

ამ დროს ჟანდარმებისაკენ სიმონის ცოლი მიმოდიოდა.

ხელში რევოლვერი ეჭირა. მან დაიყვირა:

— ადგილიდან არ დაიძრათ, თორემ ვისვრი!

ყველა ადგილზე გაშეშდა.

სიმონი ოთახში შეძვრა, ყუთს ხელი დასტაცა და მოკურცხლა.

7. სიმონის ცოლი რევოლვერით ხელში უკან-უკან იხევდა. უცბად ის გვერდითი კარებით ქუჩაში გავარდა.

დაბნეული ჟანდარმები, ერთ ადგილას მიწას ტკეპნიდნენ, შემდეგ კი ოთხი მათგანი მოტრიალდა და სიმონას გამოუდგა.

სადგურიდან გამოქცეული სიმონა მაშინვე ეტლში ჩაჯდა და მეეტლეს დაუყვირა:

— აბა, დააჩქარე! —

მეეტლემ ცხენები გარეკა. სიმონმა მოიხედა და დაინახა, რომ მას ოთხი ჟანდარმი მოსდევდა.

8. ეტლმა კუთხეში შეუხვია, შემდეგ ისევ მოუხვია. აქ სიმონმა კვლავ მოიხედა. ჟანდარმები არ ჩანდნენ.

სიმონი ეტლიდან გადმოხტა, ერთ ეზოში შევიდა და იქ მოპირდაპირე კარებით მეორე ქუჩაში გავარდა. აქ მას მეორე ეტლი დახვდა.

ის ბნელ ქუჩებში მიაქროლებდა ეტლს და მარცხნივ და მარჯვნივ ფურცლებს ფანტავდა.

„ხვალ დილით ყველა წაიკითხავს ბოლშევიკების მომართვას“ — ფიქრობდა ის.

თამარ ჩერქეზიშვილი

მგალობელ ჩიტების ზეიმი *

იხვი ხომ ნამდვილი ჭორიკანაა, სად არ გაძვრებოდა, ვის ეზოში არ შევიდოდა. მას უნდოდა გაეგო: არა თუ დედა-მიწაზე რა ხდებოდა, ისიც კი რასაც წყალში სჩადიოდენ. ჩარგავდა ნისკარტს წყალში, დიდ-ხანს ათვალიერებდა, მერმე დადგებოდენ ირგვლივ და სათითაოდ მოყვებოდენ ჭორს. ყოველ ჭორის მოსმენაზე ერთბაშათ დასძახებდენ.

— ვახ, ვახ, რა კარგი ამბავია, რა კარგი. მერმე კიდევ გაიქცეოდენ ახალი ჭორის მოსაკრებათ.

ბატი ხომ მთლად უტვინოა: როგორც კი ყურს მოჰკრავდა ჩემ ჭიკჭიკს, სისინს დამიწყებდენ:

— სუ, სუ, სუ, ტვინი არ მინდა დავიღალო მაგ ამბების გაგონებით. დაინახავდენ ალაყაფის კარებს ღიას, გაქანდებოდენ გარეთ. წინ ახალგაზრდებს გაუშვებდენ თეთრ კაბაში და წითელ ფაჩუჩებში, უკან დედები მიყვებოდენ ნაცრის ფერ ტანისამოსში გამოწყობილი. როდესაც შეეკითხებოდი სად მიდიხარ თქო?

— მდინარეზე ვალსი და მაზურკა უნდა ვითამაშოთო. კრუხი რომ მოჰკრავდა ყურს ჩემ ჭიკჭიკს, გაიკვირებდა:

— ქა, ქა, ქა, რა ამბავი ყოფილა, მე არაფერი გამიგია ამგვარი, ხომ იცი ღობეს გადაღმა ვერ გადავდივარ, სულ ჩემი შვილების ზრუნვაში ვარ გაბმული — მაგრამ თუ ამ დროს მოესმოდა პატრონის ძახილი:

— ჯუ, ჯუ, ჯუ, კრუხი თავისი ურდოთი სახლისკენ გაქანდებოდა. შემდეგ გავეცანი ციცრებს, ისინი სჯობდენ კრუხებს, მხოლოდ ცოტანი იყვნენ. კრუხები სჭარბობდენ ყველა ფრინველებს, მარტო ძერცხლებს არ შეუძლიათ მათი გამოფხიზლება და ახალ ცხოვრებაში ჩაბმა. ამიტომ გთხოვთ თქვენ მგალობელო ჩიტებო, თქვენი გალობით გამოაფხიზლოთ დედა-კრუხები...

ამას მოყვა მშვენიერი მრავალ-ჟამიერი. ახლა მოლაღური წამოდგა, თავზე ფრთა გადაისვა, ყელი მოიღერა, დალაგებული და ნელის ხმით დაიწყო:

— მრავალ ადგილებში ვყოფილვარ. თვალ-ყურს ვადევნებდი იქაურ ფრინველებს, მათ ზნეჩვეულებას. იქაც არიან კრუხ დედლები, მაგრამ ჩვენისთანა კერპი იშვიათად. მე რაც ცოდნა მიმიღია სხვაგან მზად ვარ საერთო საქმეს მოვახმარო. ჩემი სურვილი იყო — გამეღვიძებია ფრინველებში: თვითშეგნება, მისწრაფება ახალ ცხოვრებისაკენ, აგრეთვე საჭიროა: ჩვენ შევებრძოლოთ საერთო ძალით მტაცებელ ფრინველებს. — ყველას მოეწონა ეს წინადადება. ფრთა-ფრთას შემოკრეს და მადლობა უთხრეს მოლაღურს. შაშვმა და ჯაფარამ დაადასტურეს მოლაღურის წინადადება, მხოლოდ ბულბულმა განაცხადა:

— რა ვქნა, მე მხოლოდ ვარდს უგალობებ სიყვარულს, სხვაზე არ მეხერხება.

— არა უშავს რაო, — უპასუხა მოლაღურმა.

— დღეში, რომ რამდენჯერმე გალობ ვარდისათვის, ერთი საათი საერთო გაჭირვებაზე იგალობე — ამაზე ბულბული დათანხმდა, კიდევ მრავალ-ჟამიერ გაისმა. ტოროლამ განაცხადა:

— მე ჯერ ახალგაზრდა ვარ, მტაცებელ ფრინველებზე ცოტა რამ გამიგონია, ჯერ ვერ ჩაუკვირდი ამ საკითხს, დრო არ მაქვს. როგორც მზე ამოვა, დაბლა დავეშვები, მუშახალხს ვაღვიძებ, მერმე ცისკენ მივფრინავ, მნათობ მზეს უგალობ, მერმე კიდევ დაბლა დავეშვები, ზვარისაკენ გავინავარდებ. ერთ, სიტყვით ძაფი გავაბი მიწის და ზეცის ამბებისა და

1) დასასრული, იხ. ჟურ. „პიონერი“ № 1.

რაც დრო დამრჩება მეც მოლაღურს მივეშველები საერთო საქმეში. ყოველ მოლაპერაკეს მემდეგ ტკბილი მრავალ-ჟამიერი ისმოდა. ახლა ხოხობი წამოდგა, მაღალ წერწერტა ტანის. ლამაზი ყელი მოიღერა. ფრთებს ხან გაშლიდა, ხან გულზე დაიწყობდა.

— მე დიდად ნასიამოვნები ვარ, რომ აქ ამისთანა დიდებული აზრი წარმოითქვა. ეს პირველად მესმის, რომ მტაცებელი ფრინველების წინააღმდეგ მგალობელი ჩიტები შეკავშირებულიყვენ და მასთან სხვა მახლობელი ფრინველები. თქვენ კარგათ მოგეხსენებათ რა ზიანს აყენებს ქორი, ძერა, ყვავი და მიმინო ქათმის წიწილებს, არც ჩვენ გვაყენებს კარგ დღეს. მე მთლად სმენათ გადავიქეცი, ნეტარებით აივსო გული ჩემი. ნუ თუ ამნაირი დიადი აზრი მოუვიდათ თავში მგალობელ ჩიტებს?! მე არა თუ აზრი მოვისმინე, სურვილიც ამ აზრის განხორციელებისა. როდესაც თქვენ ადამიანს უგალობთ, მათ ცხოვრებას აფერადებთ, ნუ თუ თქვენ მოძმისათვის არ მოინდომებთ მეტ სიკეთეს იმ ბოროტების დაგმობისათვის, რასაც მტაცებელი ფრინველები ჩადიან?! არ მინდა დავიჯერო, რომ ეს სიტყვები გამოწვეულია წუთიერი შთაბეჭდილებით. მე მრწამს, რომ ეს არის გამოძახილი გულის სიღრმიდან, იმ საცოდავი წიწილების და დედების კვნესა-გოდების მიმართ. თქვენ მშვენიერ გალობას ბანს მისცემს სხვა ქვეყნის ფრინველებიც და შევძლებთ სამუდამოთ ჩვენი მტრის დამარცხებას. — ჩიტები წამოხტენ, ფრთა ფრთას შემოკრეს:

— ვაშა, ვაშა, — შესძახეს და ხელმეორედ დალიეს ლამაზი ხოხობის სადღეგრძელო.

— მშვენიერია, მშვენიერი, — ჩაიღუღუნა მტრიდამ.

— რა ლამაზია და კოხტა, ჩაიჭუკჭუკა მწყერმა.

— მე როგორც თავმჯდომარე — განაცხადა, ჯაფარამ. დასკვნას გავუკეთებ საერთო ჩვენ ბაასს:

— ჩვენი გალობით გამოვაფხიზლოთ ჩამორჩენილი ფრინველები, ჩავაბათ ისინი საერთო ახალ ცხოვრების მშენებლობაში და შევებრძოლოთ მტაცებელ ფრინველებს. ახლა კი მგალობელმა ჩიტებმა სათითაოდ იგალობოს.

პირველად გალობას მოყვა შაშვი, მშვენიერი გრძნობიერი ხმით. მოლაღურმა იგალობა ბრძოლა ტალღებთან, ქარბუქთან და სხვა [illegible]ებთან, რომელსაც ისინი განიცდიან სამშობლოში დაბრუნების დროს. ამას მოყვა იაღონის გალობა და ჯაფარას ლამაზი ლეგენდა.

ბოლოს ბულბულმა დასტვენა, აკვნესდა, ჩაირაკრაკა:

ის უგალობდა ვარდს; ყველა სმენათ გადიქცა: ბალახში და ტყეში მცხოვრებნი. წყაროც შეჩდვა.

— ვერ შევძლებ დიდებულ ბულბულის კონცერტს აკომპანიმენტი გაუწიოო.

მთვარე სიამოვნებისაგან ილიმებოდა, ვარსკლავები შეჯგუფდენ, თვალები დალულეს, ყურები სცქვიტეს. მგალობელი ჩიტები ოცნების ტალღაში შესცურდენ, და ცდილობდენ ეს ტკბილი ოცნება არ გაფანტოდათ. ბალახმა სიხარულის ცრემლი დაღვარა, ნიავს გულმა არ მოუთმინა და დავლური ჩამოუარა, სათითაოდ ყველას მოეხვია, თვალებში აკოცა. ყვავილებმა, რომ ნიავის ასეთი ცელქობა დაინახეს, ხითხითი დაიწყეს. სხვებმაც თავი დაუქნიეს.

— აი შე ცელქო, შე ცელქო.

— ნუ გწყდებათ გული, ყველას ქორწილში პირელი მე მოგილხენთ. ლეკურს და დავლურს ჩამოუვლიო.

მზემ შიკრიკი აფრინა, — გამიგე რა ამბავია შაირის მინდორზეო.

შიკრიკის დანახვაზე მთვარეს ფერი ეცვალა, — როგორ შევრჩი, დავიგვიანე სახლში წასვლაო. ვარსკვლავებმა თვალები დახუჭეს. ტოროლა წამოხტა — წავალ მშრომელებს გავაღვიძებ მზის შესახვედრათო. — მერცხალმა სწრაფად გუნდი შეადგინა, ნიავსაც დაუძახა:

— წამოდი ნელი თამაშითაო. — დასძახეს არალო და გასწიეს მზისაკენ. მათ ბანი მისცა მთელმა ბუნებამ. ყველა ახმაურდა და დიდი ზეიმით მიეგებენ წითლად ამომავალ მზეს.

ეს იყო ტყეში. სოფლებში და ქალაქებში კი მილიონიანი მასები საპირველმაისო დღესასწაულს უდიდესი ზეიმით ხვდებოდენ. მგალობელი ჩიტები ემზადებოდენ მტაცებელ ფრინველების შესამუსრავად. ჩვენში კი ბედნიერი მშრომელები, რომელნიც წარმატებით აშენებენ სოციალიზმს განსაკუთრებულ ხალისით აღელვებდენ წითელ დროშებით ახასხასებულ ქუჩებს.

უცხოეთის მშრომელები კი ფოლადისებურ სიმტკიცით შემჭიდროებულნი ამზადებდენ სისხლის მსმელ ბურჟუების დაღუპვას და თავისუფლების წითელ დროშის აფრიალებას.

ნინო ტყეშელაშვილი

დროშის გამოტანა

ოაზეის დროშის, რაზმის ხელმძღვანელის, რაზმის თავმჯდომარის, მებუკისა და მედოლის ადგილი რაზმის მწყობრად დგომის დროს.

რა ადგილას უნდა იდგეს რაზმის საბჭოს თავმჯდომარე რაზმის მწყობრად დგომის დროს? რა ადგილას დგას რაზმის ხელმძღვანელი — წინ, უკან თუ გვერდით. როგორ უნდა ვატაროთ რგოლის ალამი და ვინ ატარებს მას? პასუხი ამ კითხვებზე აუცილე-

ღლად უნდა იცოდეს რაზმის თითოეულმა ხელმძღვანელმა და არა თუ უნდა იცოდეს, არამედ კიდეც უნდა იცავდეს დადგენილ წესებს.

რაზმის მწკრივად დარაზმვის დროს, ყველა შემთხვევაში, გარდა „ლინეიკისა“ ანძასთან, მარჯვნით და მწკრივის გასწვრივ ერთი ნაბიჯის ინტერვალით დგანან მედოლე, მებუკე, დროშის პირველიდამცველი, მედროშე, დროშის მეორე დამცველი, რაზმის თავჯდომარე და რაზმის ხელმძღვანელი. რგოლში მარჯვენა მხარეზე დგას რგოლის ხელმძღვანელი, მის მარცხნივ, პიონერს მარჯვენა ხელში უჭირავს რგოლის ალამი, რომლის ტარის ბოლოც მიბჯენილი აქვს ფეხებთან.



რაზმის კოლონად დარაზმვის დროს ყველა შემთხვევაში, როდესაც რაზმი სალაშქრო კოლონაში დგას, თითოეულად ან საალღუმო მწყობრად, კოლონის დაწყობის წესი ერთი და იგივე რჩება, სახელდობრ, კოლონის ფრონტის წინ 3 ნაბიჯზე დგანან ან მიდიან: მებუკე, მის გვერდით მარცხენა მხარეს მედოლე (ხოლო მათ წინ 3 ნაბიჯზე მედროშე და ორი პიონერი, რომლებიც დროშის დამცველ ყარაულს წარმოადგენენ). დროშის წინ 3 ნაბიჯის მანძილზე კოლონას მიუძღვის რაზმის ხელმძღვანელი, რომელსაც მარცხნით მიჰყვება რაზმის საბჭოს თავჯდომარე (იხ. ნახატი 1-ლი). დიდსა და ხალხით სავსე ქუჩებში სალაშქრო კოლონად მსვლელობის დროს მიზანშეწონილია მებუკე ჩადგეს სარაზმო მწყობრის შუა ადგილას მეოთხე და მეხუთე რგოლების წინ, — მაშინ დოლის ხმას გაიგონებს ყველა ბავშვი.

რგოლარ უნდა ვატაროთ დროშა, რგოლის ალამი, ბუკი და დოლი.

თითოეულ პიონერ რაზმს აქვს წითელი დროშა, რომელიც მიღებული აქვს მას კომკავშირის ორგანიზაციიდან. პიონერთა თითოეულ რაზმს აქვს რგოლის ალამი, აგრეთვე ბუკი და დაფი. მწყობრში დროშის რგოლის, ალამის, საყვირისა და ბარაბანის ტარებისათვის რაზმს უნდა ჰყავდეს ძედროშე, მებუკე და მედაფე, ხოლო ყოველ რგოლში უნდა იყოს მარჯვენა მხარეს მდგომი პიონერი, რომელიც ატარებს რგოლის ალამს.

ბევრ რაზმში დროშას დაყუდებულად ატარებენ, რის გამოც აუარებელ ძალღონეს ხარჯავენ იმისათვის, რომ მის ჰაერში გაშლილ ქსოვილს შეუნარჩუნონ ვერტიკალური მდგომარეობა. დროშას ატარებენ ყოველ ლაშქრობაში, ქუჩებში, კინოში წასვლის დროს და სხვა, ერთი სიტყვით, გაშლილ დროშას თან ატარებენ ყველგან და ყოველნაირად. ხოლო რა უნდა უყონ რგოლის ალამს—ეს სრულიად არ იციან. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც რაზმს ჰქმნიან არა რგოლების მიხედვით.

მაშ რგოლარ უნდა მოვაწყოთ დროშის სწორად ტარება?

საზეიმო დღეებში, რევოლუციურ დღესასწაულებზე, დემონსტრაციებზე და აღლუმებზე დროშა უნდა ვატაროთ გაშლილი, მარჯვენა მხარზე გადებული, 45 გრადუსზე დახრილი.

მედროშე წევს მარჯვენა ხელს წინ დროშის ტარის გასწვრივ, და ხელს ჰკიდებს მას, ხოლო მარცხენა ხელს ჰკიდებს დროშის ტარს მარჯვენა ხელის იდაყვთან და ამრიგად იცავს წონასწორობას. დროშის ტარი იმდენად უნდა იყოს დახრილი ძირს, რომ ქსოვილის ქვედა ნაწილი იწყებოდეს მედროშის მხართან. ასეთ მდგომარეობაში დროშის ტარება ადვილია და ქარი ვერ შეაფერხებს და ვერ გააძნელებს სიარულს, არამედ პირიქით, ლამაზად გაშლის დროშას და საშუალებას მისცემს ყველას წაიკითხონ გთუ რა წერია ქსოვილზე (ნახ 2). ამგვარ მომენტებში დროშას ჩვეულებრივ თან ახლავს 2 ბავშვისაან შემდგარი საპატიო ყარაული, რომელიც მიჰყვება მას გვერდით და ერთი ნაბიჯით უკან.

ლამქრობის დროს დროშას უნდა ატარებდენ შეხვეულად, ხალთაში. მისი მდგომარეობა მედროშის ხელში ისეთივეა, როგორც ზემოთ არის აღნიშნული. მაგრამ ტარი იმდენად უნდა იყოს დაშვებული ძირს, რომ დროშის დახვეული ქსოვილის ნაწილი მოხვდეს მედროშის მხარზე, რაც კიდევ უფრო შეამსუბუქებს დროშის ტარებას და აღარ დაეხეხება მხარი მედროშეს (ნახ. 3).

ბ უ კ ი. მწყობრში ბუკი პიონერს უნდა ჰქონდეს ჩამოკიდული ზურგს უკან გადაგდებულ ლენტზე მარცხენა მხარეს და პირით ძირს (ნახ. 5).

პატივისცემისა და ზრდილობის ნიშანი მწყობრში

მრავალი საშუალება არსებობს იმისათვის, რომ ხაზგასმით აღინიშნოს ამხანაგური ურთიერთკავშირი, რომელიც აერთიანებს მშრომელთა ბავშვებს ერთ ოჯახად პარტიასთან, კომკავშირთან, წითელ არმიასთან, მუშებთან და ჩვენი ქვეყნის კოლმეურნეებთან.

სამწუხაროდ, ბევრმა პიონერმუშაკმა არ იცის, როგორ უნდა მოახერხოს ეს და, თუ იცის, არავითარ მნიშვნელობას არ აძლევს „ყველა ამ ცერემონიას“.

ასეთი შეხედულება დიდი შეცთომაა. ასეთი შეხედულება იმის მოსასწავებელია, რომ ზოგიერთმა პიონერმა არც კი იცის, თუ რისთვის არის საჭირო ფეხზე ადგომა და სალუტი, როდესაც „ინტერნაციონალს“ ასრულებენ; მათ რაზმის დროშა მიაჩნიათ ჩვეულებრივ ბაირაღად, რომელიც შეიძლება კუთხეში იდგეს და მტვრით ივსებოდეს.

ზრდილობის, თავაზიანობისა და პატივისცემის რა ნიშნის შემოღებაა შესაძლებელი და საჭირო თვითეული პიონერრაზმის ტრადიციაში მისი ცხოვრების იმ მომენტში, როდესაც რაზმი მწყობრში იმყოფება?

რაზმის დროშის მისალმება

რაზმის დროშა იმის სიმბოლია, რომ ამ რაზმის პიონერები გაერთიანდენ სოციალიზმის მშენებლობაში აქტიური მონაწილეობისა და მუშათა კლასის მიერ კაპიტალისტური ჩაგვრა-მონობისაგან მთელი მსოფლიოს მშრომელთა გასათავისუფლებლად წარმოებულ ბრძოლაში მონაწილეობისათვის.

რაზმის დროშისადმი პატივისცემით მოპყრობის გამომუშავება, მისი ფრთხილად შენახვის მოწყობით და მისი პატივისცემით მწყობრში. აი რა წარმოადგენს ნორჩ პიონერთა რაზმის ხელმძღვანელის უდიდესი მნიშვნელობის ამოცანას.

რ გ ო ლ ი ს ა ლ ა მ ი მიმაგრებულ უნდა იქნას კარგ მრგვალ ჯოხზე, სისქე 2—2 $^1/_2$ სანტიმეტრი, სიგრძე $1^1/_2$ მეტრი. ყველა შემთხვევაში, როგორც მოძრაობის დროს, ისე ადგილზე დგომისა და კოლონაში ყოფნისას ალამი გადაკიდული აქვს მხარზე რგოლის ხელმძღვანელის უკან მდგომ მარჯვენა ფლაგის პიონერს. ამისათვის ალამის ტარზე მიმაგრებულ უნდა იქნას ღვედი იმგვარადვე, როგორც თოფს აქვს მიმაგრებული სატარებლად. ღვედის ქვედა ნაწილი უნდა მიემაგროს ალამის ტარს 15 სანტიმეტრის სიმაღლეზე ბოლოდან, ხოლო ღვედის ზედა ნაწილი 60 სანტიმეტრის სიმაღლეზე ქვედა ნაწილიდან. ღვედის სიგრძე ისეთი უნდა იყოს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც ალამს ღვედზე ავიღებთ ან მხარზე გადავიკიდებთ, შესაძლებელი იყოს ღვედის მაგრად დაჭიმვა მარჯვენა ხელის წინ გაშვერით და ამავე დროს იდაყვით ალამის ტარის ტანზე მიჭერით. ალამი უნდა იდგეს მხარს უკან სრულიად ვერტიკალურად (ნახ. 4).

დიდი დ ო ლ ი. როდესაც ის უმოქმედოდ არის, მაშინ იგი პიონერს ჩამოკიდული უნდა ჰქონდეს მარჯვენა გვერდზე სიმით თავისკენ და მიბჯენილი უნდა იყოს ტანზე მარჯვენა ხელით. დოლის ჯოხები ჩადებულ უნდა იქნას ქამრის მარცხენა მხარეზე მიმაგრებულ ხალთაში (ნახ. 5).

დროშის გამოტანის დროს რაზმი მწკრივში დგას, მედოლე და მებუკე — მწკრივის გასწვრით მწყობრის მარჯვენა მხარეს, ხოლო რაზმის ხელმძღვანელი — რაზმის ცენტრში და სამი ნაბიჯით წინ.

დროშა გამოაქვს მედროშეს საპატიო ყარაულის თანხლებით, რომელიც შედგება დროშის წინ-მავალი დროშის უფროსისა (უფროსი შეიძლება მუდამ რაზმის საბჭოს თავჯდომარე იყოს) და რაზმის ორი საუკეთესო პიონერისაგან. დროშის გამოჩენისთანავე (ნახატ. 6) ხელმძღვანელი იძლევა კომანდას: რაზმო სმენა! უსწორდით დროშას!" და იძლევა სალუტს. მებუკე და მედოლე უკრავენ „შეხვედრას".



პიონერები „სმენის" მდგომარეობაში აბრუნებენ თავს დროშის მიმართულებით და აყოლებენ თვალს დროშას, ხოლო დროშა მიემართება რაზმის მარჯვენა მხარისკენ და დგება თავის ადგილას, ესე იგი მებუკის მარჯვენა გვერდით ერთი ნაბიჯის მანძილზე. ამის შემდეგ ხელმძღვანელი იძლევა კომანდას „თავისუფლად" და თვითონ კი გადადის კოლონის თავში, ხოლო მის მარცხნით დგება რაზმის საბჭოს თავმჯდომარე.

დროშის წაღების დროს მწყობრისა და კომანდის წესი იგივეა, მაგრამ დროშა და მისი საპატიო ყარაული იწყებენ მოძრაობას სადგომში კომანდის შემდეგ: „რაზმო, სმენა, უსწორდით დროშას!".

პიროვნებათა მისალმება: კარგია, როდესაც პიონერები გარკვევით მოახერხებენ მათთან რაზმში მისული წითელი არმიის მეთაურის ან თავის საწარმოს პარტიული, კომკავშირული ან პროფკავშირული ორგანიზაციის ხელმძღვანელის შეხვედრას.

ამისათვის ხელმძღვანელი იძლევა კომანდას: „სმენა, სწორდით მარჯვნით" („მარცხნით" ან „შუაზე" იმის დამიხედვით, თუ საიდან გამოცხადდა მისასალმებელი ადამიანი). კომანდის მიცემის შემდეგ რაზმის საბჭოს თავჯდომარე, ხოლო თუ ის არ არის, უფროსი რგოლის ხელმძღვანელი მიდის მომსვლელის შესახვედრად, დგება მისგან 3 ნაბიჯზე და აძლევს მოკლე პატაკს: „ამადაამ რაიონის ნორჩპიონერთა რაზმი № ესადაეს, ამდენი და ამდენი კაცის შემადგენლობით იმყოფება მწყობრში".

თუ მოსული პირი მიმართავს პიონერებს მისალმებით: „იყავით მზად," ყველანი მაღლა წევენ ხელებს სალუტისათვის, გაუშვებენ ორ ტაქტს და უპასუხებენ: „მზად ვართ!" მისალმებაზე: „გამარჯობათ, პიონერებო!" ყველანი ხელახლა უშვებენ ორ ტაქტს და უსალუტოდ უპასუხებენ: „გაგი-

მარჯოთ“, რასაცარ ყოფენ მარცვლებად. შემდეგ პიონერებს ეძლევათ კომანდა: „თავისუფლად“.

ორგანიზაციის მისალმება. ქუჩაზე რაზმის მოძრაობის დროს, მეორე პიონერრაზმის (ნახ. 7) ან წითელი არმიის ჯართა კოლონის ან წითელი სამგლოვიარო პროცესიის შეხვედრის შემთხვევაში, ხელმძღვანელი 20 ნაბიჯის მანძილზე შეხვედრამდის იძლევა კომანდას: „სმენა, უსწორდით მარცხნით“ ან მარჯვნივ. ამ კომანდასთანავე მწყობრში მყოფნი სწყვეტენ ხელების მოძრაობას და მართავენ მათ სხეულის გასწვრივ, ხოლო თავს აბრუნებენ კომანდის უკანასკნელ ნაწილში ნაჩვენებ მხარეს. რაზმი ასეთ მდგომარეობაში იმყოფება და მიდის მანამდის, სანამ მას არ მისცემენ კომანდას „თავისუფლად“. კომანდა თავისუფლად ეძლევა რაზმს მაშინ, როდესაც კოლონების თავები 20 ნაბიჯით დაშორდებიან ერთმანეთს. ამგვარივე წესით ესალმებიან დემონსტრაციაზე აღლუმის მიმღებ ხელმძღვანელებს.

ფ. ზანეგინი

მოსკოვის მეტრო

ამასწინათ მოსკოვში ამუშავდა მეტროპოლიტენი. მეტროპოლიტენი მიწისქვეშა მატარებელია. მას შემოკლებით მეტროს ეძახიან. იგი **საბჭოების გიგანტების** რიცხვს ეკუთვნის და ჩვენი სოციალისტური ინდუსტრიის სიამაყეა. მისი გაშენება მხოლოდ გამარჯვებულ პროლეტარებს შეეძლო, თორემ ძველი რეჟიმის დროსაც იდგა საკითხი მეტროპოლიტენის გაყვანაზე, მაგრამ მეფის მთავრობამ ვერ გაბედა ასეთი დიდი საქმის დაწყება.

მოსკოვის მეტროპოლიტენის გაშენების **ახრ**ა მსოფლიო პროლეტარიატის ბელადს **სტალინს** ეკუთვნის. მოსკოვში 4 მილიონი მცხოვრებია, ძალზე დიდი მოძრაობაა. მოსკოვის ავტობუსები, ტრა[illegible]ტროლეიბუსები ვერ აუდიოდენ ქალაქის მცხოვრებთა გადაყვან-გადმოყვანას და საჭირო შეიქნა მიწისქვეშა მატარებლის გამოყენება. ამხ. **სტალინის** მითითებით შეუდგენ კიდეც მეტროს გაყვანას.



მეტროს მშენებლობას **უშუალოდ ხელმძღვანელობდა** ამხ. კაგანოვიჩი. ამხ. კაგანოვიჩს მეტროს მუშები მეტროს მთავარ ინჟენერს **ეძახდენ, ისე განვითარდა** და ენერგიულად ხელმძღვანელობდა იგი მეტროს. კრებებზე ამხ. კაგანოვიჩი ისეთ **წვრილმანებსაც** კი შეეხებოდა, **რომ** მუშები **გაკვირვებით** ეკითხებოდენ ერთმანეთს — საიდან იცის მან მიწისქვეშა ქვეყნის ამბებიო?

მართლაც, დიდი ამბები ხდებოდა მიწის ქვეშ. მეტროს გასაყვანად საჭირო **გახდა** გვირაბის **გაყვანა**. გვირაბის გათხრამდის კი გეოლოგებმა მოსკოვის ნიადაგი შეისწავლეს. აქ **მიწა გაბურღეს, იქ ორმო** ამოთხარეს და დაასკვნეს — მეტროს შენება ძნელი იქნებაო.

მართლაც, მოსკოვი ჩავარდნილ ალაგასაა. აქ ბევრია მიწისქვეშა წყალი. ოდესლაც მოსკოვში 22 ადი

ალარე დიოდა. დროთა გასავლობაში ეს მდინარეები დაიკარგენ. წარმოიდგინეთ, ყველა ეს მდინარე მიწის ქვეშ აღმოჩნდა. მაგრამ ეს ცოტაა. ყინულოვანი პერიოდის უზარმაზარი ქვები და სველი სილაც აღმოჩნდა. ესეც რაა... მიწისქვეშა ფენებში ტუფლები, შანდლები, იარაღები და, წარმოიდგინეთ აფთიაქის შუშებიც კი აღმოაჩინეს. მეტროს მთხრელები კი ფიქრობდენ: ჩვენამდის ამ ქვესკნელში არავის დაუდგამს ფეხი.

— მერე და რა უნდოდა მიწის ქვეშ ნივთებს? — ეკითხავთ თქვენ.

რადა რამდენიმე საუკუნის წინათ აქ ხალხი ცხოვრობდა, აქ იყო ძველი მოსკოვი. იქ, სადაც შუშები ნახეს, გერმანელების აფთიაქი იყო. დროთა განმავლობაში ეს ადგილი მოიზვინა სხვადასხვა ნანგრევით, მოტანილი მიწით, ნაგავით, ნაყარით, ანახანძრევით. ამგვარად შეიქნა მიწის ახალი ფენა, რომელსაც გეოლოგიაში „კულტურულ ფენას“ ეძახიან.

მიწის ქვეშ ძველი სავალი გზებიც იპოვეს. ეს იმ დროინდელი გვირაბებია, როცა მტერი ქალაქს ალყას შემოარტყამდა და გარეთ არავის გამოუშვებდა. მაშინ სამხედრო მიზნებისათვის გაყვანილი იყო ასეთი გზები. ამ გზებით გადიოდნენ ქალაქგარეთ მზვერავები, შემოჰქონდათ სურსათ-სანოვაგე.

* * *

ევროპისა და ჩრდილო-ამერიკის დიდ ღედაქალაქებში ყველგან არის მეტრო. ბერლინში, პარიზში, ლონდონში, ნიუიორკში. იქ მეტროს გაშენების სამი ხერხი არსებობს. ღია ხერხი: პირდაპირ ქუჩაში თხრიან არხებს, არხის ფსკერზე აგებენ რელსებს, ამაგრებენ კედლებს, გადახურავენ ლითონის ჭერით და ზედ ისევ ქუჩას დააგებენ. ასეა გაკეთებული ბერლინის მეტრო. დახურული ხერხი: გვირაბი გაყავთ მიწის ზედაპირთან ძალზე ახლოს. ასეა გაყვანილი პარიზის მეტრო. მესამე ხერხი ის არის, რომ მეტროს გვირაბი გათხრილია ძალზე ღრმად, 60 მეტრის სიღრმემდის. ასეა გაშენებული ლონდონის მეტრო.

მოსკოვის მეტროს გაყვანისას გამოყენებულია სამივე ხერხი.

მეტროს გაყვანისას დიდი დაბრკოლებები შეხვდათ მშენებლებს. ყველაზე ძლიერ დაბრკოლებას წარმოადგენდა წყალი. წყალს რომ შეხვდებოდენ, თხრას მიატოვებდენ. რა უნდა ექნათ წყლისათვის? ამოესხათ? განა შეიძლება ქვესკნელის წყლის ამოსხმა? ჩვენ ხომ ვთქვით, რომ მოსკოვის ქვეშ ოცდაორი მდინარე დის!

მაგრამ რას არ იზამს ტექნიკა! წყალი ჰაერით გადენეს. როგორ: აი როგორ: სველ ნიადაგში ამოთხარეს ორმო. ორმოში ჩადგეს კესონი—ჰაერგაუვალი კაბინა... ამ კაბინაში ჩააწნევენ ჰაერს. ჰაერი ვერსად წავა, რადგან კესონის ჭერი და კედლები რკინა-ბეტონისაა. კესონის იატაკი კი წყალი და სილაა, ე. ი. სველი გრუნტი. ჰაერის წნევა აჩერებს წყალს და უკუაქცევს. სველი ნიადაგი შრება. და სანამ ჩაწნეული ჰაერი ჰყოფნით, კესონში განაგრძობენ თხრას. ნიადაგს თხრიან, კესონი ოდ დაბლა დაბლა ეშვება, სანამ გვირაბისთვის საჭირო გასაკეთელ ფენამდის არ მივა. ამის შემდეგ კესონი ქვევით კი არ უნდა წავიდეს, არამედ განზე. მაშინ კესონი ჩერდება და აგებენ გვირაბს, რომლის კედლებიც რკინა-ბეტონისაა. ასე მოათავსებენ ხოლმე გვირაბის პირველ ნაჭერს. ამის შემდეგ იწყება გვირაბის გაგრძელება — თხრა.

გვირაბის გაყვანისას სხვადასხვა სიძნელეებს წააწყდებიან მთხრელები. მაგალითად, შეიძლება მიწის ჭერი ჩამოინგრეს. ამის ასაცილებლად ჭერს ძელებით ამაგრებენ და თხრიან. ამონათხარები ვაგონებით გამოაქვთ. იმავე დროს აბეტონირებენ გათხრილ ნაწილის ჭერსა და კედლებს.

შეიძლება მაგარი ნიადაგი შეხვდეთ. მაშინ ასეთ ნიადაგს ამონალით აფეთქებენ. მაგარი ნიადაგის სათხრელად იყენებენ აგრეთვე მექანიზირებულ ხიშტს: შეკუმშული ჰაერი ატრიალებს ხიშტს და იგი ღრღნის ნიადაგს.



საინტერესოა აგრეთვე მიწისქვეშა ტანკების მუშაობა. ეს ისეთივე დიდი ტანკია, როგორც ჩვეულებრივი, და ორი ორთქლმავლის ოდენას იწონის. ამ ტანკს ფარსაც ეძახიან, რადგან იგი მუშებს ზვავისაგან იფარავს. მას ცილინდრის ფორმა აქვს. იგი ზლაზვნით, მაგრად, შეუპოვრად მიდის წინ: მას ეშინია არცერთი ფენისა ქვესკნელში. მიდის ტანკი წინ და თხრის გვირაბს. გათხრილი გვირაბის კედლების გასწვრივ კი მაშინვე აწყობენ ბეტონის ბლოკებს. ეს ტანკი თხრის ცხრა მეტრის სიგანე გვირაბს. ეს სიგანე საკმარისია იმისათვის, რომ მეტროს ორმა ვაგონმა ერთმანეთს თავისუფლად ჩაუაროს.

მოსკოვის მეტროს გასაყვანად დიდი მუშაობა იქნა გაწეული. დღედაღამე მუშაობდენ მიწისქვეშეთში. როცა დღიური შრომით დაღლილი მოსკოვი ისვენებდა, მიწისქვეშა მოსკოვი მუშაობდა. და მერე, ეცით რამდენი მუშა? ოთხმოციათასი!

ზღაპარში თუ გაგიგონიათ, რომ მიწის ქვეშ ხალხი ცხოვრობდა... აი, ასეთი ამბები ხდებოდა მოსკოვის მიწის ქვეშ. მომუშავენი, ქალები თუ კაცები, ჩაიცვამდენ ბრეზენტის კომბინიზონს, რეზინის ჩექმებს, ბრეზენტის ფართო შლაპას დაიხურავდენ და მალაროში ჩავიდოდენ. მიწისქვეშ მუდამ ელექტრობა

ენთო. განათხარის ფსკერი მუდამ სველი იყო. სველ ფსკერზე რელსებია, რელსებზე კაგონებია, ვაგონეტებს ბრეზენტის კომბინეზონში გამოწყობილი მუშები დაატარებენ წინ და უკან და გააქვთ ამოთხრილი მიწა.

მუშები ამ უცნაურ ტანისამოსში ყველანი ერთმანეთს გავდენ. ისინი თითქმის ყველანი კომკავშირლები იყვნენ. რამდენიმე ათეული ათასი კომკავშირელი მიწის ქვეშ ჩავიდა. მათ დამკვრელი ბრიგადები შეადგინეს და მიწისქვეშეთს შეუტიეს, გული გაუღრღნეს და სინათლე შეიტანეს. ძნელი, ძალზე ძნელი იყო მიწისქვეშ მუშაობა. მაგალითად, კესონში ჰაერის წნევას ყველა ვერ იტანდა. ექიმებმა ნება არ დართეს ყველას ემუშავა. მაშინ ამხ. **კაგანოვიჩმა** მოწოდებით მიმართა კომკავშირლებს:

— გამოჰყავით საუკეთესოები!..

და გამოჰყვეს...

* * *

გმირობის რამდენი მაგალითი იყო მიწისქვეშ...

მეხუთე დისტანციაზე კომკავშირელთა ორი ბრიგადა გვირაბს ორი მხრივ თხრიდა. საჭირო იყო უდიდესი სიზუსტე, რომ ერთმანეთს ზუსტად შეხვედროდენ. ათი დღე დარჩა შეხვედრამდის... მუშაობამ გაიტაცა კომკავშირლები. ჩვეულებრივი ექვსი საათის ნაცვლად თორმეტს მუშაობდენ. უფროსებს ძალათი გაყავდათ სამუშაოდან ისინი. კომკავშირლები იბრძოდენ გარდამავალ დროშისათვის. სამუშაო ათ დღეში უნდა შესრულებულიყო... სამ დღეში შეასრულეს. ორივე ბრიგადა ზუსტად შეხვდა ერთმანეთს...

მეთორმეტე მაღაროში მუშაობისას, სვერდლოვის მოედნის ქვეშ, მიწა ჩაინგრა. ისეთი ხმაურობა იყო, რომ ეგონათ დიდი შენობა ჩამოინგრაო. თურმე ძველი ჭა ჩანგრეულა. ჩამონგრეული ადგილი უნდა გამაგრებულიყო, რომ სხვა ფენაც არ ჩამონგრეულიყო. მეტად სახიფათო იყო ეს მუშაობა. მაგრამ საიმა მუშამ თავი გადადო და ეს საშიშო სამუშაო შეასრულეს. ეს გმირები იყვნენ: **მაკარევსკი, ალეშინი და მოსკვინი.**

მესამეჯერ კი წყლის ამოსაქაჩავი მილი გაფუჭდა. მაღაროში წყალი დაგუბდა. ერთმა კომკავშირელმა დაიწყო შეკეთება. წყალმა ყელამდის უწია. არ მიატოვა საბრძოლო ალაგი. გააკეთა და ისნა მთელი მაღარო.

და რამდენია ასეთი გმირობის მაგალითი.

და მეტროც ჩინებული გაშენდა. ასეთი მეტრო მსოფლიოში არ არის...

ჩვენი მეტრო სოციალისტური ინდუსტრიის დიდი გამარჯვებაა. ჩვენი მეტრო **მეტად მოკლე** ხანში აშენდა. ჩვენ მას სამწელიწადნახევარი მოვანდომეთ. მისი სიგრძე თითქმის 12 **კილომეტრია.** კაპიტალისტურ ქვეყნებში კი მეტროს შენებას დიდ დროს ანდომებდენ. მაგალითად, ბერლინში 11 კილომეტრის სიგრძე მეტროს 6 წელს აშენებდენ. იმავე ბერლინში მეტროს მეორე ხაზს, 7 კილომეტრს, 4 წელს აშენებდენ (1927 — 1931 წ.). ტოკიოში (იაპონია) ოთხ **კილომეტრიან მეტროს 4 წელს** აშენებდენ. პრაგაში (ჩეხო-სლოვაკიაში) **21 კილომეტრიანი** მეტროს დამთავრება ნავარაუდევია 1950 წლისათვის. რომში (იტალია) 23 კილომეტრიანი მეტროს გაყვანა ნავარაუდევი ჰქონდათ 12 წლის განმავლობაში, მაგრამ ვერ **გაბედეს მშენებლობის** დაწყება: კრიზისმა შეუშალათ ხელი. ჩვენს ქვეყანაში კრიზისი არ არის. აქ ცხოვრების სათავეში გამარჯვებული პროლეტარიატი დგას **კომუნისტური** პარტიის ხელმძღვანელობით, და ამიტომ გაშენდა ჩვენი მეტრო ასე **სწრაფად** და **ასე** კარგი. ჩვენი მეტროს ჩვენი ინჟენერები და **მუშები აშენებდენ.** ჩვენი მეტრო ჩვენი მასალებითა და **მანქანებით** გაკეთდა. 540 ქარხანა იღებდა მეტროს შენებაში ონაწილეობას. საბჭოთა **კავშირის** ყველა **კუთხიდან** მოდიოდა მეტროსათვის საჭირო მასალა. კახეთიდან, მაგალითად, მუქი მარმალილო მიდიოდა.

მოსკოვის მეტროს გახსნა მთელი ჩვენი **საბჭოეთის** ზეიმად გადაიქცა. ხუმრობა ხომ არაა: ჩვენი მეტრო მსოფლიოში პირველი **მეტროა ხარისხით: გვირაბი** პირდაპირია და სწორი, გვირაბის სიგანე ყველა სხვა მეტროს სიგანეს **აჭარბებს,** ვენტილაცია **საუკეთესოა,** მოყვანილობა ლამაზია, **მეტროში ბევრი** სინათლეა. 12 მიწისქვეშა სადგური ნამდვილი სასახლეებია. თავი მიწის ქვეშ როდი ჰგონია კაცს. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი **მეტროს** სადგურები **ცხატვრული** ნაწარმოებია.

ამიტომაც იყო, რომ მეტროს მშენებლები დაჯილდოვეს ვინ ორდენით, ვინ სიგელით. **კომკავშირის** მოსკოვის ორგანიზაცია კი, დიდი **სტალინის** წინადადებით, ლენინის **ორდენით** დაჯილდოვეს.

ამნაირად, თუ დღემდის **გიგანტები საბჭოთა მიწას** ამშვენებდენ, დღეს **გიგანტი** მიწისქვეშაც გვაქვს. ასე იზრდება ჩვენი ქვეყანა.

რანი

ზღაპრები ადამიანის წარმოშობის შესახებ

ბუნიერი ადამიანის წინაპრები

ცაში მცხოვრებმა **არსებამ** ტაგანროამ დედამიწაზე გამოგზავნა თავისი **შვილი** — **პატარა** ფრინველი ლალლა. ამ ლალლამ მიწიდან ამოათრია ჭიები და მათგან **შექმნა** ადამიანები.

ოკეანიის ხალხებს ასე **წარმოუდგენიათ** პირველ ადამიანების **გაჩენა.**

ახალი ზელანდიის მცხოვრებთ სხვა ზღაპარი სჯერათ: დიდი კვერცხი დაცურავდა ზღვაში. კვერცხიდან გამოვიდენ ადამიანები, თან ნავიც გამოიტანეს, ჩასხდენ ნავში და ხმელეთს მიაღწიეს, შემდეგ კი ხმელეთზე დაიწყეს ცხოვრება.

ავსტრალიელთა ერთერთ ტომს —ურაბუნას სწამს, რომ უძველეს დროს ცხოვრობდენ ნახევრადცხოველნი, ნახევრადმცენარენი, ნახევრადადამიანები. არავინ არ იცის, როგორ გაჩნდენ ისინი. მათ შეეძლოთ სიარული მიწაზე და მიწის ქვეშ, შეეძლოთ ჰაერში ფრენაც. დედამიწაზე დატოვეს მათ თავისი სულები, რომლებიც შემდგომ გადაიქცენ მამაკაცებად და დედაკაცებად.

ძველათ გერმანელებს სწამდათ — ადამიანები ხეებისაგან გაჩნდენო, — ზოგი არყის ხეებისაგან. ზოგი ფიჭვებისაგან, ზოგიც მუხებისაგანო. იყო ცაცხვის მძლავრი ნამორი, რომელსაც თაყვანს სცემდა ხალხი. მისი სამი ტანისაგან წარმოიშვა სამი მოდგმა. როდესაც დაიხოცნენ ამ ოჯახების უკანასკნელი წამომადგენელნი, ეს ტანებიც გახმა.

ინდუსები ამბობენ: ღმერთი და ქალღმერთი მაიმუნებად გადაიქცენ და ამ მაიმუნებისაგან წარმოიშვენ ადამიანებიო.

ყველამ იცის დაბადების ზღაპარი პირველ ადამიან ადამის შესახებ,—თითქოსდა მეექვსე დღეს შექმნა იგი ღმერთმა. ეს არის ძველებური ებრაული ზღაპარი. ის გავრცელებულია ყველა ქრისტიან ხალხში. როდესაც კოლუმბმა ამერიკა აღმოაჩინა (ეს მოხდა 15 ს. დამლევს), ევროპელები გაეცვნენ ამერიკელ ინდოელებს. „განა ეს ველურები ადამისაგან არიან წარმოშობილნი?" „განა აქვთ მათ სული?" — ეს საკითხები აღელვებდა ევროპის განათლებულ მცხოვრებლებს. გამოჩნდენ ისეთი მეცნიერნი, რომლებმაც განაცხადეს: ინდოელები ნამდვილი ადამიანები არ არიან, მათ არა აქვთ სულიო. ღმერთმა ადამის შექმნამდის შექმნა ისინიო, და ამიტომაც ადამამდელები უწოდეს მათ.

ბევრი ზღაპარი და ლეგენდა გამოიგონეს ადამიანებმა, რომ აეხსნათ თავისი გაჩენა, ბევრმა საუკუნეებმა განვლო, სანამ ჭეშმარიტებას აღმოაჩენდენ მეცნიერნი.

როგორ ვითარდებოდა მეცნიერება ადამიანის შესახებ

მთავარ მოედანზე კოცონი ანთია. კოცონის ირგვლივ დგანან ბერები, მათ უკან — აუარებელი ხალხი. ეს არის „წმინდა" ინკვიზიციის *) კოცონი.

ვინ უნდა დაწვან? ის, ვინც გაბედა და თქვა არავითარი იესო ქრისტე არ არსებობდაო?

არა, კოცონზე არავინ არ არის აყვანილი, მაგრამ იქ დაყრილია ხელნაწერი წიგნები. თითეულ წიგნს ლათინურად აწერია:

„ექიმი ანდრეი ვეზალის თხზულება".

ბერები გალობენ.

კოცონის ცეცხლი ელვარებს.

წავიდენ ბერები. ხალხი დაიშალა. მხოლოდ ერთი კაცი დარჩა მოედანზე. ის გულდაწყვეტილი მიშტერებოდა ჩაფერფლილ პერგამენტს. **).

ეს იყო ანდრეი ვეზალი. მისი წიგნები დაწვა ინკვიზიციამ. ვეზალი საფრანგეთის მეფეების კარის ექიმი იყო. ყველას უყვარდა ის, ყველა პატივს სცემდა. მაგრამ მან საშინელი „ცოდვა" ჩაიდინა.

ის ჩუმად ამოთხრიდა ხოლმე საფლავს და იღებდა ცხედარს. ჩამოხრჩობილების გვამებსაც ფარულად იღებდა და შინ მიჰქონდა. ის განკვეთდა გვამებს, რომ შეესწავლა ყოველი ძვალი, ყოველი კუნთი, ყოველი მილი. ის დარწმუნდა — ადამიანის აგებულება ისეთივეა, როგორც ცხოველისო, და ამის შესახებ დაწერა თავის ხელნაწერებში.

დილამდის დაბორიალობდა ვეზალი იმ ადგილას, სადაც დაწვეს მისი წიგნები, მზის ამოსვლისას კი ჩაჯდა გემში და განშორდა იქაურობას: წმინდა ინკვიზიციამ ცოდვების მოსანანებლად გაგზავნა იერუსალიმს.

ვეზალის არ დასცალდა თავისი მუშაობის განგრძობა: იერუსალიმიდან რომ ბრუნდებოდა, ზღვა აღელდა, და ვეზალი დაიხრჩო. ეს ეოხდა 1564 წელს.

მრავალი საუკუნის განმავლობაში ბერები და მღვდლები მეცნიერებს არ აძლევდენ ნებას ეთქვათ და ეფიქრათ, რომ ადამიანები ცხოველებისაგან წარმოიშვენ: ეს ხომ ღვთის რწმენის შეცდავლა იქნებოდა, ღმერთი კი მათთვის საჭირო იყო, რომ უფრო მეტად ეყვლიფათ ხალხი.

1871 წ. ცნობილმა ინგლისელმა ბუნებისმეტყველმა დარვინმა (დაიბადა 1809 წ., გარდაიცვალა 1882 წ.) თავის წიგნში „ადამიანის წარმოშობა" ხმამაღლა განაცხადა — ადამიანსა და ცხოველს შორის ნათესაობა არსებობსო.

კვლავ შეძრწუნდენ და აყაყანდენ მღვდლები, ბერები, მეცნიერნი, მწერლები, სახელმწიფო მოღვაწენი: დარვინი ღმერთს გმობს, ადამიანი ღვთის ქმნილებაა, და აბა როგორ შეიძლება, რომ ის მაიმუნისაგან იყო წარმოშობილიო!

დარვინი კი ასე მსჯელობდა: ხვლიკის, არწივის, სპილოს, ვეფხვის ჩანასახი პირველად თევზსა ჰგავს, მას ლაყუჩები აქვს. ადამიანის ჩანასახიც ასეთია. ხერხემლიანი ცხოველის ჩანასახს კუდი უჩნდება, კუდი აქვს ადამიანის ჩანასახსაც, რომელიც დაბადების წინა ხანებში სულ ბალნითაა შემოსილი.

დიდი ადამიანებიც არიან ხანდახან ისეთნი, რომელთაც კუდი აქვთ, ზოგის სხეული სულ ბალნითაა

*) ინკვიზიცია — რომის პაპების მიერ მე-12 საუკუნის გასულს დაწესებული საეკლესიო სასამართლო ეკლესიისათვის მავნე პირთა სადევნელად და დასასჯელად. ის მიმართავდა უსასტიკეს და შეუბრალებელ სასჯელსა და წვალებას; მოისპო მე-19 საუკ. დასაწყისში.

**) პერგამენტი — ცხოველთა ტყავი, რომელსაც ძველათ ხმარობდენ საწერ მასალად (ქაღალდის მაგიერ). ახლა მზადდება მცენარეებისაგანაც. სახელწოდება წარმოიშვა ქალაქ პერგამოსისგან, სადაც პირველად დამზადდა პერგამენტი.

შემოსილი, როგორც მაიმუნი. გარდა ამისა, პატარა ბავშვისა და პატარა მაიმუნის ჩონჩხის გამოცნობა ძნელია, იმდენად გვანან ერთმანეთს, და თვით მაიმუნიც ძალიან ჰგავს ადამიანს.

ყველაზე ველური ადამიანი მით განსხვავდება ყველაზე ჭკვიანი მაიმუნისაგან, რომ ქვისაგან, ხისაგან და ლითონისაგან აკეთებს იარაღებს.

ადამიანისა და მაიმუნის სხეულის აღნაგობა რომ მეადარა ერთმანეთს, დარვინმა გაღაწყვიტა — ადამიანი და მაიმუნი ყველაზე ახლოპელი ნათესავები არიანო.

მეცნიერებმა მიწის სიღრმეში იპოვეს ძველი დროის მაიმუნის ჩონჩხი. ამ მაიმუნისაგან წარმოიშვენ ოდესღაც, ძალიან დიდი ხნის წინათ, თანამედროვე ადამიანებიც და ადამიანის მსგავსი მაიმუნებიც.

გონიერი ადამიანის წინაპარი

აი როგორ იპოვეს მეცნიერებმა ჩვენი წინაპარი. მისი ჩონჩხი გამოქვაბულის შუაგულში იყო, მიწის სიღრმეში, ორმოში, რომელიც თიხით იყო გამოღებული.

ძვლების მახლობლად ეყარა უცნაური პატარა ქვები. მათ კაცის ნახელარი ეტყობოდა: ქვები წაწვეტებული იყო.

ჩონჩხის ძვლები თითქმის ადამიანის იყო, მხოლოდ უფრო მსხვილი და ტლანქი. ამ ძვლებზე უნდა ყოფილიყო მძლავრი კუნთები. ეს არსება ადამიანს ჰგავდა, მაგრამ ამავე დროს მაიმუნსაც წააგავდა.

ამ არსებამ უხეირო ბაჯბაჯი იცოდა. მისი სხეული ბეწვით იყო შემოსილი. ფეხები მუხლთან მოღუნული ჰქონდა.

ხელები გრძელი ჰქონდა, თითები — მოუხეშავ-მოუქნელი, თითქოს აი ახლა სწავლობს საგნების ხელში დაჭერასო.

თავი პატარა ჰქონდა, თავის ქალის ძვლები — მასიური; შუბლი პატარა, უკან გადაწეული. თვალები ღრმა ჰქონდა, წარბები ბანჯგვლიანი. ყბა ძლიერ იყო, დიდი, დიდრონი კბილებით, თითქმის უნიკაპო.

ეს უცნაური არსება არის ჩვენი წინაპარი, ე. წ. ნეანდერტალელი.

ის მხოლოდ უახლოვდება ადამიანს, მისი სახე ადამიანისას არა ჰგავს.

სიტყვა „ნეანდერტალელი" წარმოიშვა მდინარე ნეანდრიდან (გერმანიაშია), ვინაიღან ასეთი ადამიანების პირველი ჩონჩხი ამ მდინარის ნაპირას იპოვეს 1856 წელს. ნეანდერტალელები ცხოვრობდნენ ევროპაში, აზიაში, პალესტინაში.

ისინი შეცვალეს ნამდვილმა ადამიანებმა, რომლებსაც მეცნიერებაში „გონიერ ადამიანს" ეძახდენ.

თუ დავაკვირდებით ჩვენ ირგვლივ მყოფ პირებს, შევნიშნავთ, რომ ზოგ მათგანს ნიკაპი თითქოს სრულიად არა აქვს, შუბლი ძალიან უკან აქვს გადაწეული — ისინი მოგვაგონებენ ჩვენს სისხლით ნათესაობას ნეანდერტალელთან.

ნეანდერტალელი მიიჩნიეს მეცნიერებმა უძველეს ადამიანად. ახლა უნდა ვნახოთ გაადამიანებული მაიმუნი, ე. წ. ანთროპოიდი.

უცნაური პიკეტანთროპოსი

1894 წელს მთელი მსოფლიო შეინძრა: აღმოჩინეს არსება, რომელსაც უნდა დაეჭირა საშუალო ადგილი ნეანდერტალელსა და მაიმუნს შორის.

ახალგაზრდა ექიმი დუბუა გაგზავნეს კუნძულ იავაზე გეოლოგიური გამოკვლევებისათვის. 12 მეტრის სიღრმეზე რომ ოხრიდა მიწას, რამდენიმე ძვალს წააწყდა. ეს იყო თავის ქალის ზედა ნაწილის გაქვავებული ძვლები. — თავის ქალის ხუფი, მენჯის ძვალი და ორი კბილი.

დუბუამ შეისწავლა ძვლები და პრესაში გამოაქვეყნა ნაპოვნი ძვლების შესახებ. ძვლები იპოვა გაციებული ლავის ფენაში. ძვლები ერთმანეთისაგან 3-15 მეტრის მანძილზე იყო. იქნებ სხვადასხვა ადამიანების ძვლებია? იქნებ ვულკანის ამოფრქვევამ უსწრო მათ?

მენჯის ძვლის პატრონი არსება უკანა ფეხებზე მოსიარულე ყოფილა. თავის ქალის ძვლები მეტად დიდი იყო, ასე რომ მაიმუნს არ ეკუთვნოდა, მაგრამ მეტად პრტყელი და მსხვილი იყო — ადამიანისას არ ჰგავდა. მეტის მეტის ძნელი იყო თავის ქალის ძვლების შესწავლა: ისინი სავსე იყო გაქვავებულ ლავით.

დუბუამ „პიკეტანთროპოს ერექტუს" დაარქვა თავის ნაპოვნს, რაც ნიშნავს „გასწორებული მაიმუნკაცა".

ჩვიდმეტმა მეცნიერმა დაიწყო ამ ძვლების შესწავლა თიხისაგან გამონაძერწის მიხედვით.

მეცნიერები სხვადასხვა აზრისა იყვნენ. ზოგი ამბობდა: ეს არსება ადამიანია, მაგრამ ძალიან ჰგავს მაიმუნსო, სხვები ფიქრობდენ: ეს ძვლები მაიმუნისაა, ზოგიც ამბობდა (დუბუაც ამ აზრის იყო) ეს არის თითქმის გაადამიანებული მაიმუნი.

კამათი არ წყდებოდა. პიკეტანთროპოსი უფრო და უფრო მეტ ინტერესს იწვევდა.

1924 წელს გამოაქვეყნა დუბუამ ყბის აღწერილობა. ეს ყბა ადამიანისაა. მაშასადამე, პიკეტანთროპოსთან ერთად უცხოვრიათ ნამდვილ ადამიანებს.

33 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც პიკეტანთროპოსის ძვლები იპოვა დუბუამ, ის უკვე დაბერდა. თავის სამშობლო ჰოლანდიაში განაგრძობდა იგი ამ ძვლების შესწავლას. 33 წლის განმავლობაში ნელნელა აცლიდა ძვლებს გაქვავებულ ლავას კბილის ბორ-მანქანით.

ბოლოს, როგორც იქნა, სულ მოაცალა ლავა. 1927 წელს უჩვენა მან 11 ძვლები სტუმრად მისულ მეცნიერებს. ძვლები წითელ ხავერდზე იყო, მინის ს-

ხურავის ქვეშ. დუბუას მოწაფეები გაფაციცებ თ ადევნებდენ თვალს, რომ ხელი არაფის ეხლო ძვირფასი ძვლებისთვის.

ამ დროს რუსი მეცნიერი მინაკოვი აწარმოებდა ცდებს: ის იღებდა თავის ქალას და სიმჟავეს ასხამ-

და ზედ, რის გამო ქალა რბილდებოდა. ასეთ თავის ქალას რომ დავაწვეთ ყოველგვარი ფორმის თავის ქალა შეგვიძლია მივიღოთ.

პროფესორმა მინაკოვმა ისეთი თავის ქალაც გაა-

ყეთა, როგორიც პიკეტანთროპოსს აქვს. ის ამბობს: იქნებ პიკეტანთროპოსის თავის ქალაც პატრონის სიკვდილის შემდეგ გახდა ასეთიო.

ეს აზრი ახალი არ არის, ასეთი აზრი გამოითქვა 30 წლის წინათაც. მას ისიც ასაბუთებს, რომ ნიადაგი, სადაც იპოვა დუბუამ ძვლები, სიმჟავეებს შეიცავს.

ვის დაარქვა დუბუამ პიკეტანთროპოსი? ვის ეკუთვნის ეს ძვლები — ადამიანს, მაიმუნს თუ გაადამიანებულ მაიმუნს? ან იქნებ იმიტომაა ეს ძვლები ასე უცნაური, რომ დიდხანს იყო მიწაში?

ეს ჯერ კიდევ ვერ გადაუჭრიათ მეცნიერებს.

კიდეც რომ გამოირკვეს, რომ იავაზე ნაპოვნი არ არის ნამდვილი პიკეტანთროპოსი, ე. ი. ის არ ეება, რომელსაც საშუალო ადგილი უჭირავს მაიმუნსა და ადამიანს შორის, ძებნა არ შეწყდება, ვინაიდან მეცნიერებამ მტკიცედ იცის, რომ ასეთი არსება ცხოვრობდა დედამიწაზე.

მეცნიერებმა დიდხანს დაამტკიცეს, რომ ფრინველები წარმოიშვენ ხვლიკებისაგან, ხვლიკები და გველები თევზებისაგან, თევზები — ჭიებისაგან. მიწაში იპოვეს ნახევარფრინველი ნახევარხვლიკი-ნახევართევზა. მეცნიერები ამბობენ: რადგან არსებობდა ნეარდერტალელი, მაშ არსებობდა ნახევარნეარდერტალელი — ნახევარმაიმუნი, და რაგინდ მალოს მიწამ მისი ძვლები, მეცნიერები მაინც იპოვნიან მათ.

ნ. რეტიდან თარგმნილი.
შ. ო-ლის მიერ.

1

გაგეგონებათ, ალბათ, უშბა. ეს არის კავკასიონის და საერთოდ მთელი ევროპის ულამაზესი მთა, რომელიც დაჰყურებს ზემო სვანეთს.

უშბის ძირში მდებარეობს სვანეთის ერთერთი უდიდესი თემი — ბეჩო. აქ მოჩქრიალებს მღვრიე და მრისხანე მდინარე დოლრა, რომლის ორივე ნაპირზე გაფანტულა სვანების ციხე-კოშკიანი სოფლები: დოლი, უშხვნარი, ნაშთკოლი, მაზერი.

ბეჩოდან უშბას ისე ვერ შეხედავ, რომ აღტაკებამ არ შეგიპყროს. დგას მაღალი კლდე უზარმაზარ გუმბათივით და ვერცხლისფერად მოელვარე ყინულებში ჰკიდია. წვეტიანი კლდეები თანაშემწეებივით მხარში ამოსდგომიან დიად მწვერვალს.

ბევრი საუკუნეა, რაც ბეჩოელები უშბას შესცქერიან. და ეშინიათ მისი. ან კი როგორ არ უხდა შეგეშინდეს, როდესაც უშბის კალთებზე თითქმის ყოველდღე ზვავების საშინელი გრგვინვა გაისმის?!

ამიტომაც ჰგონიათ სვანებს, უშბაზე ქალღმერთი დალი ცხოვრობსო. დალს უშბის წვერზე ვითომცდა ოქროს აკვანი დაედგას. „ვინც უშბაზე ასვლას მოინდომებს, — ამბობდენ მოხუცი სვანები, — იმას დალი ან უფსკრულში ჩაჩეხავს, ან დააბრმავებს და მაინც დაღუპავს“.

ბეჩოში ისეთ მონადირეს ვერ ძოძებნიდით, რომ გაებედოს უშბის მწვერვალზე ასვლა. და ვინც გაბედა, ვერც ის მიწვდა საწადელს, ვინაიდან უშბა კავკასიასა და ევროპის მწვერვალების შორის ყველაზე უფრო ციცაბო, სახიფათო და მიუდგომელია.

ამ წერილში მე მინდა გიამბოთ ერთი სვანის შესახებ, რომელმაც პირველად სძლია შიში და უშბას მწვერვალზე მოექცა. ეს სვანი არის მესტიელი ფონადირე გიო ნიგურიანი.

2

მაგრამ... სანამ გიო ნიგურიანზე გიამბობდეთ, საჭიროა გავიხსენოთ უშბაზე ასვლების მოკლე ისტორია.

თოვლიანი მთები არია დასავლეთ ევროპაშიც. მათ ეწოდებათ ალპები. შვეიცარიის ალპები სიმაღლით ვერ შეედრება ჩვენს იალბუზსა და მყინვარ-წვერს, მაგრამ მაინც საკმაოდ მაღალნი არიან და მათზე ასვლა ძალიან ძნელია.

შვეიცარიის ალპებში პირველად წარმოიშვა და განვითარდა ტურიზმის, ანუ მოგზაურობის, უმაღლესი სახე ალპინიზმი, ანუ მთა-ასვლელობა. ალპინიზმის მოწინავე რიგებმა დაიპყრეს ალპების უმაღლესი მწვერვალები: მონ-ბლანი, მონტე-როზა, იუნგფრაუ და სხ.

ალპების დაპყრობის შემდეგ ალპინისტების ნაწილი გამოეშურა კავკასიონის ქედზე. პირველი სტუმარი იყო ინგლისის გამოჩენილი მთასვლელი დუგლას ფრეშფილდი, 1868 წელს ავიდა იალბუზზე და მყინვარწვერზე.

1888 წელს ინგლისელმა მთასვლელმა კოკინმა შვეიცარიიდან წამოიყვანა განთქმული მთიელი გამყოლი ულრის ალმერი და იერში მიიტანა უშბაზეც სოფელ გულიდან (ბეჩოს თემში).

უშბას ორი მწვერვალი აქვს — ჩრდილო და სამხრეთი. კოკინმა შეძლო ასვლა მხოლოდ ჩრდილო

მწვერვალზე, რომლის სიმაღლეც 4684 მეტრია შავი ზღვის დონედან. სამხრეთი მწვერვალი 14 მეტრით უფრო მაღალია ჩრდილო მწვერვალზე და უკეთ ძნელი მისადგომიცაა, ამიტომაც სახელის მოსახვეჭად კოკინმა განიზრახა მასზეც ასულიყო. მაგრამ ვერც 1888 წელს და ვერც 1893 წ. როდესაც კოკინი სხვა ინგლისელ მთასვლელებთან ერთად კვლავ ეწვია უშბას, ვერ შეძლო სამხრეთ მწვერვალზე ასვლა.

15 წლის განმავლობაში დასავლეთ ევროპის საუკეთესო მთასვლელები უნაყოფოდ ცდილობდენ ფეხი დაებიჯებიათ უშბის სამხრეთ მწვერვალზე.

მხოლოდ 1903 წელს, ხუთმა შვეიცარიელმა და გერმანელმა ალპინისტმა, რომლებსაც მეთაურად ჰყავდათ მიუნხენის სამთო აკადემიის სტუდენტი — **ადოლფ შულცე**, ძლივს არაჩვეულებრივი დაბრკოლებები და 1903 წ. 27 ივლისს უშბის სამხრეთი მწვერვალი ფეხქვეშ გაიგდეს.

იმავე ზაფხულში სამმა გერმანელმა **ფრანის** ხელმძღვანელობით დაამყარა ასვლის რეკორდი უშბის ორივე მწვერვალის გადავლით ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ.

ამის შემდეგ 26 წელი გავიდა ისე, რომ უშბაზე არავინ ასულა. მხოლოდ 1929 წელს ადოლფ შულცეს გზით სამხრეთ მწვერვალს მიაღწია გერმანელების ჯგუფმა ცნობილ საბჭოთა მთასვლელ **ვასილ სემენოვსკისთან** ერთად. ამ ასვლის ორი მონაწილე — **ვილი მერკლი** და **ვალტერ რეხლი** დაიღუპნენ 1934 წელს: პირველი **მათგანი** ჰიმალაის **მთებში**, მეორე კი — ბავარულ ალპებში.

და ბოლოს, 1933 წ. უშბის სამხრეთ მწვერვალზე, ისევ შულცეს გზით, ავიდენ შვეიცარიელი მეუნამთასვლელები: **ლორენც სალდინი** და **ვეკერტ ვერნერი.**

3

1934 წლის აგვისტოს მეორე ნახევარში ჩვენი საექსპედიციო ქარავანი, **რომელიც** შედგებოდა 4 დატვირთული ცხენისა, 6 მთასვლელისა და 2 ვამყოლი სვანისაგან, მივიდა ბეჩოში.

ექსპედიციამ ძირითადი ბანაკი მოაწყო ზღვის დონიდან 2800 მეტრის სიმაღლეზე, გულის ყინვარის ბოლოსთან, მწვანე მინდორზე.

27 აგვისტოს ექსპედიციის მონაწილეები ძალიან ადრე წამოიშალნენ, გამოვიდენ კარვებიდან და შეუდგენ ასვლისათვის მზადებას.

სწორედ ბანაკიდან გასვლის მომენტში ექსპედიციას შემოუერთდა სვანეთის განთქმული მონადირე — **გიო ნიგურიანი**, **რომელსაც** გაეგო უშბაზე ექსპედიციის ყოფნა და ასვლაში **მონაწილეობის** მისაღებად წამოსულიყო.

ამსვლელ ჯგუფში შედიოდა 5 მთასვლელი, გიო ნიგურიანი და ოთხი სვანი, რომლებსაც მიჰქონდათ ბარგი.

მაგრამ როდესაც ჯგუფმა ადვილი გზა აირჩია და ძნელს მიადგა, მზიდველებმა ვერ გაბედეს სიარული, დატოვეს ბარგი და უკან დაბრუნდენ.

ჯგუფს წინ აღემართა ციცაბო კლდის ნაპრალი, რომელშიც გაყინული თოვლი იყო. ამ ეზარმაზარი ღარის ძირი 60 **გრადუსით** იყო დაქანებული. აქ **ასვლისათვის საჭირო** იყო **არა მარტო** წრიაპები და **წერაყინები** *), არამედ მაგარი თოკიც და, რაც მთავარია, — სიფრთხილე.

წინ მიმავალი **მთასვლელი** **წერაყინით** **სჭრიდა** თოვლში საფეხურებს, შემდეგ თოვლში ჩასობილ **წერაყინზე** **თოკს** **გამოაბამდა** **და** **ამ** **თოკით** **დანარჩენებიც** მასთან მივიდოდენ ხოლმე.

სიძნელის გარდა, ღარში სიარული ფრიად სახიფათო არის: **კლდეები** **იშლება**, **ვეებერთელა** **ლოდები** **ცვივა** **დაბლა** **და** **თუ** **ადამიანს** **მოხვდა**, **დალუპვა** **აუცილებელია.**

ექსპედიციის ამ ღარში ყოფნის დროს რამდენჯერმე ჩამოცვივდა ქვები, მაგრამ მოხერხდა მათი არიდება.

უკვე ღამდებოდა, როდესაც ჯგუფმა სახიფათო ღარი დასძლია და მიაღწია საბანაკო ადგილს ზღვის დონიდან 3900-4000 მეტრის სიმაღლეზე. **აქ** **ისეთი** ვიწრო ადგილია, რომ ზედ **მხოლოდ** ორი პაწია კარავი თავსდება და კარავიდან კარავამდის მისვლა საკმაოდ ძნელია.

ბანაკიდან ვრცელი სანახაობაა გადაშლილი. მოჩანს იალბუზის ორივე თეთრი კონუსი, დონღუზორუნის მთა, დიხ-თაუ, თეთნულდი, შხარა, გისტოლა და მრავალი **სხვა** **მაღალი** **მწვერვალი.** **ქვემოთ** კი ხედავთ სვანეთის ტყიან ხეობებს, რომლებშიც სვანური კოშკები გაფანტულა. **დასაქერი** **ზე** **მოდან** ბარს და გენატრება სითბოში დაბრუნება.

ბანაკში ცივა, თუმცა დღისით **მზე** **მწვავედ** იკბინება. ახლო არსად **წყალი** **არ** **არის**, **ამიტომაც** **პრიმუსზე** თოვლს ვადნობთ.

ბანაკში მისვლისთანავე **დავრწმუნდით**, **რომ** ამის იქით **უშბაზე** **ასასვლელ** **გზას** **კარგი** **მოძებნა** **ესაჭიროება.** **იაგორა** **კაზალიკაშვილმა** **და** **ალ.** **ჯაფარიძემ** **მეორე** **დღესვე** **სცადეს** **გზის** **მოძებნა**, **მაგრამ** **გაუალ** **კლდეს** **მიადგენ.**

ბოლოსდაბოლოს ყველანი იმ დასკვნამდის მივიდენ, **რომ** **საჭიროა** **ჯერ** **ჩამოკიდული** **ყინვარის** **გადაკვეთა** **და** **შემდეგ** **კლდეებზე** **გადასვლა.** 29 **აგვისტოს**, **დილის** 8 **საათზე**, **ალიოშა** **და** **ალექსანდრა** **ჯაფარიძეები**, **იაგორა** **კაზალიკაშვილი** **და** **გიო** **ნიგურიანი** **წავიდენ** **უშბაზე** **ასასვლელად**, **ხოლო** **სანდრო** **გვალია** **და** **ამ** **სტრიქონების** **ავტორი** **ბანაკში** **დავრჩით** **ასვლის** **სათვალყურად.**

---

*) **წარაყინი** **ფოლადის**—**მოწყობილობა**, **რომელსაც** **მთასვლელები** **ფეხებზე** **იბამენ** **მოსიპულ** **ყინულზე** **სასიარულოდ.**

) **წერაყინი — **მაგარი** **ჯოხი** **წერაქვის** **თავით** **და** **ფოლადის** **წვეტიანი** **ბოლოთი.**

ზემოხსენებული ჩამოკიდული ყინვარის დაქანება 70 გრადუსს აღწევს. ვინაიდან ყინვარის ზემოთ ამართული მაღალი კლდეები ძლიერ სწრაფად იფიტება და იშლება, ამიტომაც თითქმის მთელი დღის განმავლობაში ყინვარის ზედაპირზე საშინელი სისწრაფით მოგორავენ, მოხტიან და მოჰქრიან გრანიტის ლოდები. ყინვარი ფრიად სახიფათოა და ამიტომაც მთასვლელები ჩქარობდენ მის გავლას.

საღამოხანს, მზის ჩასვლამდის მიადგა ჯგუფი მაღალ ვერტიკალურ კედელს, რომელიც უშბაზე ასვლის დროს მთავარ სიძნელედ ითვლება. აქ მათ მიაგნეს იმ ადგილს, სადაც გასულ წელს შვეიცარიელ ალპინისტებს ღამე გაეთიათ, და თითონაც აქ დადგენ.

მეორე დღეს (30 აგვისტოს) ალ. ჯაფარიძე და გიო ნიგურიანმა დიდხანს ძებნეს კედელზე ასასვლელი გზა, მაგრამ მხოლოდ საღამოხანს შეამჩნიეს ასასვლელი. უკვე გვიან იყო — მზე ჩადიოდა, ამიტომაც გადაწყვიტეს კედელზე ასვლა სახვალიოდ გადაედოთ.

სამნი ჩამოვიდენ შვეიცარიელების ნაბანაკარში და აქ დაიძინეს, ხოლო ალექსანდრა ჯაფარიძე — ეს მამაცი ქალი, თოკებით კლდეს მიება და კედელთან დარჩა მთელ ღამეს.

31 აგვისტოს მიიტანეს იერიში ძნელ ზღუდეზე. ხელის მოსავლები და ფეხის დასადგმელი ადგილები კლდეზე ისე შორს იყო ერთმანეთისაგან, რომ მაღალი გიოც ვერ სწვდებოდა. ამ შემთხვევაში მთასვლელები განსაკუთრებულ ხერხს მიმართავდენ: ალიოშა ჯაფარიძე მტკიცედ დადგებოდა, გიო კი მას მხრებზე დაადგებოდა და ხელის მოსავლებს ეძებდა. ზოგან კი ეს ხერხიც ვერა შველოდა და მაშინ იაგორაც მიეშველებოდა; ორი წერაყინს დაამაგრებდენ, გიო კი წერაყინის თავზე დადგებოდა ხოლმე.

ერთ ადგილას ჯგუფს წინ გადაეღობა ფრიად ციცაბო ღარი, რომელსაც კედლები სარკესავით მოკრიალებული ჰქონდა. დიდხანს იწვალეს, როგორ არა სცადეს მისი დაძლევა, მაგრამ ამაოდ!

ზღუდის ბოლომდის კი ცოტაღა დარჩენოდათ. ნუთუ ამ ვიწრო ღარმა უნდა ჩაფუშოს მთელი ნამუშევარი? მთასვლელები დაღონებულები ისხდენ კლდეებზე და არ იცოდენ რა ექნათ.

და, აი, აქ გამომჟღავნდა სვანის ოსტატობა და სიმამაცე.

— თითქმის მწვერვალზე ავსულვართ და ახლა უნდა დავბრუნდეთ უკან? — წამოიძახა გიო ნიგურიანმა. — მაშ ბიჭი ნუ ვყოფილვარ, თუ ახლა უკან დავიხიე!

ყველამ გაკვირვებით შეხედა გიოს.

მაგრამ სვანი არა ხუმრობდა: მან სწრაფად გაიხადა ბანდულები და ფეხშიშველი შევიდა ღარში. ცნობილია, რომ კლდეებზე ფოფხვა შიშველი ფეხებით უფრო ადვილია. ჰყინავდა, კლდეები ცივი იყო, მაგრამ გიომ გაუძლო, ოსტატურად გადავიდა ღარის მეორე მხარეს და იქიდან დანარჩენებს თოკით დაეხმარა ასვლაში.

...ზღუდის თავზე ყველამ თავისუფლად ამოისუნთქა. ამ ვერტიკალურ კედელზე მათ 200 მეტრის გავლას 6 საათი მოანდომეს, ხოლო თუ ჩავთვლით გზის ძებნაში დახარჯულ დროსაც, — მაშინ დღენახევარი.

ზღუდის ზემოთ გზა შედარებით ადვილია. გახარებული გიო წინ მიდიოდა და თანაც ქვებს აგორებდა დაბლა, რომ ჩვენი ბანაკიდან დაგვენახა. მართლაც, ჩვენ დურბინდის დახმარებით 3900 მეტრის სიმაღლიდან მშვენივრად ვხედავდით ოთხივე გამბედავ ამხანაგს.

31 აგვისტოს, ნაშუადღევის 2 საათზე, საბჭოთა მთასვლელების ჯგუფმა პირველად შეადგა ფეხი უშბის სამხრეთ-დასავლეთ მწვერვალზე. ახლა ისინი იმყოფებოდენ ზღვის დონიდან 4698 მეტრის სიმაღლეზე და მათ ფეხქვეშ გართხმულიყო მთელი ზემო სვანეთი თავისი ტყეებითა, საძოვრებითა და კოშკებით.

მწვერვალზე, კლდის ნამსხვრევებში იპოვეს კონვერტით გერმანელებისა და შვეიცარიელების წერილები, შემდეგ თითონაც დატოვეს თავისი ასვლის ნიშნები, გადაიღეს ფოტოგრაფიული აპარატით სურათი და ქვევით წამოვიდენ.

მაგრამ უკვე გვიან იყო და შეიძლება ვერ მოესწროთ დაღამებამდის ზღუდის ძირში ჩამოსვლა, რასაც სამწუხარო შედეგი მოჰყვებოდა, ამიტომაც ღამის გასათევად მწვერვალთან დარჩენ.

ცივი ღამე იყო, მთასვლელებს ხელფეხი ეყინებოდათ. თან ერთადერთი ნაბადი ჰქონდათ წამოღებული და ზედ დაიხურეს. გიო ნიგურიანმა იმ მიზნით, რომ არ დასძინებოდა და ძილში არ გაყინულიყო, სიმღერა გააბა. ალიოშა ჯაფარიძემ აანთო ბენგალური ცეცხლი, რათა ბეჩოელებს დაენახათ, რომ უშბაზე ხალხი ასულა.

---

3 სექტემბერს მთელი ექსპედიცია ისევ ბეჩოში ჩამოვიდა. აქ მთასვლელებს ზეიმით შეხვდენ სვანები, რომლებსაც ძლიერ უხაროდათ, რომ მამაპაპური თქმულებები და რწმენა უშბის მიუვალობის შესახებ სიცრუე გამოდგა. სოფელ გულის მცხოვრებლები ექსპედიციას თოფების გრიალით შეეგებენ, ხოლო მესტიაში მთასვლელებს დიდი საზეიმო საღამო გაუმართეს კლუბში. უშბაზე ასვლის ამბავი მოკლე ხანში მთელ სვანეთს მოედო.

ლ. მარუაშვილი

ხანჯალი მზის სხივზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

1

საღამოს ნიავმა ააშრიალა მცენარეების ფოთლები, აღმოსავლეთიდან ბადრი მთვარე ამოგორდა და გააშუქა არემარე.

შრომისაგან დაღლილი კოლმეურნეები თავიანთი ბინისაკენ მიეშურებიან, რომ დღისით დაქანცულებმა დაისვენონ და ისევ ახალ შრომას შეუდგეს.

— თედო, ბოსელის კარები კარგად გადარაზე და ბოქლომით დაკეტე! ხომ იცი, მტერი ჯერ კიდევ ფხიზლობს და ეშმაკს არ სძინავს! — გადასძახა ივაკიმ თავის 15 წლის თედოს აივნიდან.

— ფხიზლობს თუ არა, ერთბაშად ქვეყანა არ დაანგრიონ! გაბედავენ რაიმეს?! მერე სად მიძვრებიან, — უპასუხა თედომ.

— რომ გეუბნები, გაიგე... ეშმაკს არა სძინავს მუთქი, — დაუმატა ივაკიმ და კარი გაიხურა.

2

ივაკი სოფელ ობის კოლმეურნეობაში ერთერთ დამკვრელ ბრიგადირად ითვლებოდა, მას ჩაბარებული ჰყავდა 26-სული ხარი, რომელთაც თვალის ჩინივით უვლიდა.

მართალია, კოლმეურნეობას ორი ტრაქტორი ჰქონდა, მაგრამ ფერდობის დასახნავად და ტვირთის გასაზიდავად ხარებიც კი შეიძინეს...

თედო საკოლმეურნეო სკოლის მე-6 კლასის მოწაფეა, სკოლაში მუყაითი და ენერგიული, არც ერთი სუსტი არ აქვს, ყველასთვის 'საყვარელ მოწაფედ ითვლება. ოჯახში მამის ერთგულობას რომ ხედავდა, თვითონაც გამხნევებული იყო და პატარობიდანვე ჩანერგოდა საერთო საქმისადმი სიყვარული. ახლაც გულდაგულ შეასრულა მამის დავალება. საქონელი დაათვალიერა, საკმაო თივა დაუყარა, რქაზე მობმული ბაწრები გაუსინჯა, რომ კუდად არ ყოფილიყო დაბმული, სიყვარულით ერთორს გავაზე ხელი გადაუსვა, მერე კარები დაკეტა, კლიტე ქამარზე ჩამოიკიდა და სახლში შევიდა. ნავახშმევს ყველამ დაიძინა.

3

შუაღამე გადასულიყო. ბოსელს ახლადგაკვირტული თუთის ხის ჩრდილი ფარავდა.

ღობის გასწვრივ ორი ლანდი გამოჩნდა, ბოსელს მიუახლოვდნენ. ჩრდილში ლანდი დაიმალა, და კარების ჭრიალი მოისმა. პატარა ხნის შემდეგ მთვარის სინათლეზე ადვილად გაარჩევდით ორ კაცს, რომლებიც გაჩქარებით მიერეკებოდნენ ხარებს.

4

მამლებმა ყივილს მოუხშირეს.

ფანჯარაში სინათლემ შემოიხედა და გაანათა ივაკის ოთახი.

ივაკიმ თვალები მოიფშვნიტა, თედოს ჩასძახა...

— თედო! აბა ჩქარა წამოხტი, უკვე გათენებულა! ხომ იცი, დღეს ზეგნის ხვნა უნდა დავიწყოთ და საქონელი მოამზადე, უღელი კედელზეა ჩამოკიდებული!

ამ ლაპარაკში უკვე ჩაიცვა და სახლის აივანზე გამოვიდა...

თედო სწრაფად წამოხტა, შარვალი ჩაიცვა და ის იყო წაღების ჩასაცმელად წაიკუზა, როცა მოესმა ხმა:

— ბიჭო, კარები არ დაკეტე?!

— როგორ არა! კლიტე აქ მაქვს, — იყო პასუხი. მამა-შვილმა ჩაირბინეს კიბის საფეხურები და ბოსლის კარები გატეხილი რომ დახვდათ, ერთმეორეს შეხედეს.

— მოუპარავთ ლობა და წიქარა!

5

რაც სოფელ ობში არტელი ჩამოყალიბდა, ყირიმი და ალმასხანი მუდამ განმარტოებით დადიოდნენ, მას შემდეგ, რაც მათი საყანე მიწების გაერთიანების ამბები გაიგონეს, კრებას არ დასწრებიან და ყოველ ღონეს ხმარობდენ, რომ ხელი შეეშალათ კოლმეურნეობის განვითარებისათვის.

— ხეტავი საშუალება მომცა და ხელში ჩამაგდებია ჩემი ყოფილი მოჯამაგირე, ახლა რომ პარტიული გახდა და ჩემი ოჯახი დამინგრია! განა მოსათმენია ჩემგან 5 ჰექტ. მიწის, ორსართულიანი წაბლის სახლის და ხუთი თვალი წისქვილის წართმევა! მაგრამ ვნახოთ! ვნახოთ! — იტყოდა ხოლმე ალმასხანი.

რამდენი რამ არ იფიქრა ყირიმმაც, მაგრამ დღემდის გეგმა ვერ შეასრულეს, დღეს კი მოპარული ხარები ტყეში შერეკეს, ერთი დაკლეს, და ალმასხანი გატყავებას შეუდგა, ყირიმს კი ხელით ანიშნა:

— ადი გორაკზე და იდარაჯე, არავინ შემოგვასწროს. ყირიმმა დავალება შეასრულა, გორაკზე ავიდა, თხმელის ტოტზე ჩამოჯდა და გზებს გადახედა.

ბუჩქებიდან ფოთლის შრიალი შემოესმა. მოიხედა და იცნო თოფმამარჯვებული ივაკი, რომელიც ხევისკენ იხედებოდა... აი მიუახლოვდა ხეს, რომელზედაც ყირიმი ზის, წაიწია და გაწვა, თოფი ხევისაკენ გაასწორა, მარჯვენა ხელით კი ახლადამოყრილი ტირიფის ტოტები გადმოზნიქა და დაიფარა.

ყირიმს უხარია, რომ ივაკიმ ვერ დაინახა, მაგრამ ამხანაგი რომ საფრთხეში ჰყავს?

— ჰა, სად ყოფილა ჩვენი ხარები! დაკვლაც მოასწარით! — ჩაილაპარაკა ივაკიმ და თოფი შიგ გულში დაუმიზნა ალმასხანს, რომელიც გაჩქარებით ატყაკებდა ხარს.

6

თედომ კოლმეურნეობის თავმჯდომარეს შეატყობინა ქურდობის შესახებ, გამობრუნდა, სახლიდან წალდი წამოიღე და მამის კვალს დაედევნა, მაგრამ ბალახებში კვალი აირია, საით წავიდეს, იხედება აქეთ-იქით... გზის გადალმა თვალი მოჰკრა დილის მზის სხივზე რაღაც ბრჭყვიალას, თვალის გუგა შეავიწროვა, წარბები მოხარა, თითქოს ჩიტს ეპარებაო, და ხესთან რაღაცა აჩრდილი შენიშნა. გაიქცა, გულს ბაგაბუგი გააქვს, სუნთქვა უძნელდება, ფეხები არ ემორჩილება. გარბის, რაც ძალი და ღონე აქვს; ათი ნაბიჯიც — და გორაკზე ახტება.

ყირიმი ხიდან ჩამოცურდა ბანჯალამოწვდილი. ფეხაკრეფით მიეპარა ზურგიდან ივაკის და იმ დროს, როცა ხელი მაღლა ამართა ხანჯლის მოსაქნევად, მოესმა კლდეზე შემომხტარი თედოს ხმა.

— ეი ვინ არის მანდ!? ყირიმმა უკან მოიხედა თოფის ხმა ტყეს აჰყვა, და ხევში ზრიალით გადაეშვა.

ყირიმი გამოერკვა და გაბოროტებით მოქნეული ხანჯალი მძლავრად ჩაარჭო იმ ადგილას, სადაც წუთის წინ ივაკი იწვა, რომელიც თოფის გასროლისთანავე ხევში ჩახტა.

ქანდაკებასავით გამენებული, ყირიმს თავს აფარგა წალდმოღერებული თედო, ხევში კი ალმასხანის სული და ხორცი ერთიმეორეს შორდებოდა.

ვახტან უგულავა

6 კლ. მოწაფე

ფასი 75 კაპ.

5 229

კლ. თევზაძე

გასართობი

№ 1. ამ კვადრატის უჯრედებში საჭიროა ჩავსვათ ასოები: ა, ა,; მ, მ; რ, რ, რ; ო, ო, ო, ო; ნ, ნ; ი და კ — ისე რომ მივიღოთ ერთი და იგივე სიტყვები, წავიკითხავთ მას მარცხნიდან მარჯვნით თუ ზევიდან ქვევით.

გამოცანები

(წარმოდგენილი გ. ლოგთათიძის მიერ)

ერთი ქვეყნიდან მოფრინდა რამდენიმე ფრინველი. თუ ისინი წყვილებად შემოსხდებოდენ ხეზე, — ერთი ხე რჩებოდა ცალიერი, ხოლო თუ თითო-თითოდ შემოსხდებოდენ, — ერთი ფრინველი რჩებოდა შემოუჯდომელი. რამდენი ყოფილა ხე და რამდენი — ფრინველი.

(წარმოდგენილი ლ. ბეგბეჯკორის მიერ)

1

ათი ძმანი არიან,
ყველგან თან დამყვებიან,
დღისით ჩემთან დადიან,
ღამეც ჩემთან წვებიან!

2

შრომის მოყვარულები,
უსაქმოდ არ დგებიან,
მუდამ ჩემთვის ცდილობენ,
მუდამ მეხმარებიან!

3

ემტერება მინდვრის მდგმურებს,
ღამით თაგვებს ანადგურებს,
მრგვალი არის ბურთივითა,
იჩხვლიტება ნემსივითა!

4

რომ დავჭირდებით, —
მელოდებიან;
რომ გამოვჩნდები, —
მემალებიან.

5

არც ხელი აქვს, არც ფეხი,
ამტვრევს კარებს, ფანჯრებსო,
სოფლის ღობის მტერია,
აწვება და ანგრევსო.